საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№198 (12 268)
23 აგვისტო ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



უნგრეთი-იტალია

ამხანაგური მატჩები

## უნგრეთმა იტალია, გერმანიამ ინგლისი...

გუშინ, ფრიად საინტერესო ამხანაგური მატჩები გაიმართა. საქართველოს ნაკრების მეტოქეთაგან, პირველ რიგში "სკუადრა აძურის" მარცხს გამოვყოფთ. იტალიის ეროვნული გუნდი უნგრეთში 1:3 დამარცხდა, არადა, მეორე ტაიმის დასაწყისში დი ნატალეს გოლით დაწინაურდა. უნგრელებმა სამი გოლი 15-წუთიან მონაკვეთში გაიტანეს. აღსანიშნავია ისიც, რომ რობერტო დონადონის გუნდს გატუზო, დე როსი და პეროტა აკლდნენ, თუმცა შემადგენლობა მაინც საკმარისად ძლიერი გახლათ და უნგრეთის ძლევა, წესით, გადაუჭრელი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.

მოგეხსენებათ, იტალია-საფრანგეთის საფეხბურთო ომს (8 სექტემბერს, მილანში) წინ პრესაში გაჩაღებული ცივი ომი უძღვის. ამ კუთხით, საფრანგეთის ნაკრების სლოვაკური გამარჯვება (1:0 ანრის გოლით) "ლურჯებისთვის" ერთგვარ ფსიქოლოგიურ უპირატესობას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ოფიციალური მატჩი მაინც სხვაა და უნგრულ ფიასკოს იტალიისთვის სტიმულის მიცემაც შეუძლია.

შოტლანდიის ნაკრებმა ბოიდის ერთადერთი გოლით შინ სამხრეთი აფრიკა დაამარცხა. გაჭირვებით მოიგო საქართველოს უახლოესმა მეტოქე უკრაინამაც. ოლეგ ბლოხინის გუნდმა საკუთარ კედლებში უზბეკეთს 2:1 სძლია. უკრაინელთაგან გოლები გლადკიმ და როტანმა შეყარეს. ექსსაბჭოური დერბი გაიმართა ლიტვაშიც, სადაც ადგილობრივმა ნაკრებმა ასევე 2:1 სძლია თურქმენეთს.

სხვა თამაშებიდან უნდა გამოვარჩიოთ "უემბლის" მატჩი, რომელშიც ინგლისმა გერმანიას უმასპინძლა. გავიხსენოთ, რომ 2000 წელს, როცა "მანშაფტმა" ბრიტანელებს ძველ "უემბლიზე" 1:0 მოუგო, ამას კევინ კიგანის გადადგომა მოჰყვა. ინგლისმა გუშინაც წააგო გერმანიასთან, ამჯერად 2:1, და სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ამ მარცხმაც შეიწიროს ალბიონელთა მწვრთნელი. სტივ მაკლარენი ფანებს უკვე ყელში ამოუვიდათ...

ოსლოში სენსაციური მარცხი იწვნია არგენტინის ნაკრებმა, რომელმაც კარიუს დუბლს მატჩის ბოლოს მაქსი როდრიგესის გოლით უპასუხა. ბრაზილიამ მაიკონისა და რონალდინიოს წყალობით ალჟირი დაამარცხა - 2:0.

გუშინვე გაიმართა ევრო 2008-ის ექვსი შესარჩევი მატჩიც, რომელთაგან სომხეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა დაპირისპირებას გამოვყოფთ. არზუმანიანის მიერ მე-12 წუთზე გატანილი გოლი კრისტიანო რონალდომ 37-ეზე გაქვითა. ეს იყო და ეს. მაგრამ მეტი რაღა უნდა ყოფილიყო სომხეთის ნაკრებისთვის, სადაც აშკარა პროგრესია. ჩვენთან?

12 ტექნიკური შედეგები



დევიდ ბექჰემი ინგლისი-გერმანიის შემდეგ

# აღარ კმარა?

## ზედიზედ მესამე მატჩი უგოლოდ. რას ვაპირებთ უკრაინასთან?

**ლუქსემბურგი-საქართველო 0:0**

ლუქსემბურგი: ჟობერი, ბიგარი, კაცინგერი, ჰოფმანი, პაიალი (46. ფერეირა), პეტერსი, კიტენჟი (53. პასი), ბეტმერი, ლომბარდინი (72. დე სოუზა), კოლეტი (62. ბამოტა), მუჩი.
მწვრთნელი: გ. ჰელერსი
საქართველო: ლომაია, კვირკველია, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ცქიტიშვილი (78. მენთეშაშვილი), კობიაშვილი (31. ამისულაშვილი), ბურდული (46. მარცვალაძე), ასათიანი (46. მუჯირი), იაშვილი, სირაძე (46. გიგიაძე).
მწვრთნელი: კ. ტოპმიოლერი
გაფრთხილება: მუჩი, ხიზანიშვილი
გამოუყენებელი პენალტი: იაშვილი (35. მეკარე)
არბიტრი: ს. უეზეროლი (ჩრდ. ირლანდია)

ექვსი წლის წინათ, 2001 წლის 15 აგვისტოს, **ალექსანდრე ჩივაძის** საქართველომ ლუქსემბურგში 3:0 მოიგო. ერთი გოლი **რატი ალექსიძემ** გაიტანა, **გიორგი დემეტრაძემ** კი დუბლი მიითვალა. ამ მოკრძალებული ისტორიული ექსკურსის შემდეგ შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ციკლს 8 სექტემბერს, უკრაინასთან თბილისური მატჩით განვაახლებთ. დემეტრაძეს გუშინ არ უთამაშია, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ დიდი პრეტენზიებისა და გაცილებით უკეთესი პოტენციალის მქონე საქართველოს ნაკრებს ლუქსემბურგი დემეს გარეშეც უნდა დაემარცხებინა. ახლა დაიწყება აპელირება გამოუყენებელ პენალტსა თუ სხვა საგოლე მომენტებზე, მაგრამ შანსების ვერგამოყენება თავის გასამართლებლად ვერ გამოდგება. ალბათ, ისიც ითქმება, რომ სეზონი ახალი დაწყებულია და ფეხბურთელებმა ფორმაში შესვლა ვერ მოასწრეს. ასეთივე წარმატებით, ხშირად არგუმენტად გვშველის სეზონის ბოლოც, როცა იგივე ფეხბურთელები გადაღლილები არიან. საინტერესოა, როდისღა უნდა ვითამაშოთ?..

რაც შეეხება მომენტებს. ზოგ შემთხვევაში მასპინძელთა მეკარე **ჟობერმა** იმარჯვა, ზოგშიც მიზანმა გვიმტყუნა... პენალტი კი 35-ე წუთზე მოგვცეს, მაგრამ **ალექსანდრე იაშვილმა** ლუქსემბურგელთა კიპერს ვერ აჯობა. მოკლედ, დავზავდით გუნდთან, რომელსაც თავის შესარჩევ ჯგუფში შვიდიდან შვიდი მატჩი აქვს წაგებული, ბურთების შეფარდებით - 1:14. დავძენთ იმასაც, რომ ლუქსემბურგმა ბოლოს ალბანეთთან ითამაშა საკვალიფიკაციო მატჩი და შინ 0:3 წააგო... პრინციპში, პოტენციურად ძლიერ საქართველოს ლუქსემბურგზე ბევრად უკეთესი შედეგი ნამდვილად არ აქვს. დღესდღეობით ისე ჩანს, რომ ჩვენი გუნდი მხოლოდ ფარერებს სჯობს...

**დავით ცაბაძე**




### სტენოგრამა

გუშინდელი მატჩის სტენოგრამა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა, ასე გამოიყურება:

**10'** - დავით კვირკველიამ ფლანგიდან ჩააწოდა, მაგრამ ოთარ ხიზანეიშვილის თავური მეკარემ მოიგერია.

**14'** - მალხაზ ასათიანმა და დავით სირაძემ ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, რის შემდეგაც ლადო ბურდული მეკარესთან პირისპირ დარჩა. ბურდულს მეკარემ აჯობა.

**16'** - მალხაზ ასათიანმა მორიგი კომბინაცია წამოიწყო, ლევან კობიაშვილმა შეტევა გააგრძელა და ბურდული მეკარესთან კვლავ პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ამჯერად ბურთი მიზანს მიღმა გაგზავნა.

**25'** - ლუქსემბურგის ნაკრებმა ჩვენი კარის მიმართულებით პირველად დაარტყა. ლომბარდინის დარტყმული უზუსტო გამოდგა.

**27'** - დავით კვირკველიამ კარის მიმართულებით დაარტყა, მაგრამ მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. იმავე კვირკველიას მიერ მოწოდებული კუთხურისას დავით სირაძის თავური კარს ასცდა.

**31'** - კობიაშვილს კუნთი დაეჭიმა და მის ნაცვლად თამაშში ალექსანდრე ამისულაშვილი ჩაერთო.

**33'** - კახა კალაძის მიერ დაწყებული კომბინაციის შედეგად, დავით სირაძემ ალექსანდრე იაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მასპინძელთა კიპერმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**35'** - კახა კალაძე ლუქსემბურგელთა საჯარიმოში წააქციეს. პენალტი ალექსანდრე იაშვილმა დაარტყა, მაგრამ მეკარემ კვლავ იმარჯვა.

**57'** - იაშვილის მიერ წამოწყებული კომბინაცია დავით მუჯირმა გააგრძელა, კვირკველიამ კი დაასრულა. ბურთი კვლავ ასცდა კარს.

**60'** - კოლეტის დარტყმული გიორგი ლომაიას კარს ასცდა.

**64'** - იაშვილის გარღვევა მასპინძელთა მცველებმა შეაჩერეს და ბურთი საჯარიმოს გარეთ მოიგერიეს. ამას მოჰყვა მუჯირის შეუჩერებლივ დარტყმა, რომელზეც კვლავ მეკარემ იყოჩაღა.

**89'** - მუჯირის დარტყმული ბურთი მასპინძელთა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა





21-წლამდელთა ნაკრები. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# აქაც ხელი მოგვეცარა

**პოლონეთი–საქართველო 3:1**

22 აგვისტო. კიელცე. 5 000 მაყურებელი.

გოლები: 1:0 პავლოვსკი (8), 2:0 შვილონგი (56), 2:1 ლვინიანიძე (67), 3:1 მაიევსკი (83)

პოლონეთი: ბიალკოვსკი - რჟეჟნიჩაკი, პაველეკი, კოსოტი, პოლშაკი – პავლოვსკი, ვილკი, მაიევსკი, პიეტრონი (68. მერჟევსკი) - სოკალსკი (46. მელეცკი), შვილონგი (74. დანჩი).

მწვრთნელი: ა. ზემილსკი

საქართველო: მაკარიძე - ლობჟანიძე, ლვინიანიძე, გ. კაშია, ნავალოვსკი – კობახიძე (81. სანაია), ფოფხაძე, ხიდეშელი, მერებაშვილი (76. გრიგალაშვილი) – ჭელიძე (72. გოცირიძე), ყენია.

მწვრთნელი: პ. სეგრტი

გაფრთხილება: პიეტრონი, რჟეჟნიჩაკი, ყენია.

არბიტრი: ჰაიმ იაკოვი (ისრაელი)

21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში **პეტარ სეგრტის** გუნდმა გუშინ მეორე მატჩი გამართა. სამწუხაროდ, ესპანეთთან საშინაო მარცხის შემდეგ, გუშინაც წავაგეთ და ორი თამაშის შემდეგ კვლავ უქულოდ ვართ.

პოლონური წყაროების ცნობით, მეტოქეებმა ერთნაირი, კლასიკური 4-4-2 სქემა აირჩიეს. თამაში საინტერესოდ დაიწყო და ასევე გაგრძელდა. მე-8 წუთზე **პავლოვსკიმ** ანგარიში გახსნა. ბუნებრივია, პოლონელები, რომელთაც ესპანეთთან თბილისური მატჩი ნანახი ჰქონდათ, ერთ გოლს არ დასჯერდნენ და ორბურთიანი ფორის შექმნაზე იწყეს ზრუნვა, მაგრამ ეს პირველ ტაიმში ვერ შეძლეს. სეგრტის ბიჭებიც არ ყოფილან უქმად. ქართველებმა თამაში გაათანაბრეს და მასპინძელთა კარის სიმშვიდეც არაერთხელ დაარღვიეს, მაგრამ წონასწორობის აღდგენა ვერ შეძლეს. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პირველ ნახევარში მეტოქის საჯარიმოში შეჭრილი **გიორგი მერებაშვილი** პოლონელებმა თამაშის წესების დარღვევით შეაჩერეს, მაგრამ ებრაელმა არბიტრმა დარღვევაზე თვალები დახუჭა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმიც მონდომებით დაიწყეს და კიდევ ერთი სწრაფი გოლი გაგვიტანეს. 56-ე წუთზე **შვილონგმა** ორამდე გაზარდა ანგარიში. მეორე მილებულმა გოლმა სეგრტის გუნდი გაახელა. ქართველები მალევე დაეუფლნენ თამაშის სადავეებს და 69-ე წუთზე ერთი ბურთიც გაქვითეთ, სტუმართა გუნდის კაპიტნის, **მათე ლვინიანიძის** შორეული ძლიერი დარტყმისას პოლონელთა მეკარე **ბიალკოვსკი** უძლური აღმოჩნდა. ლვინიანიძის გოლით ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენი გუნდის მხარე გადავიდა. წონასწორობის აღდგენაც შეგვეძლო – მერებაშვილს გოლის გატანის ორი ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად უკვე ბიალკოვსკიმ იმარჯვა და რთული ბურთები აილო. სტუმრები ბოლომდე იბრძოდნენ, მაგრამ 83-ე წუთზე მაიევსკის გატანილმა გოლმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. 1:3...

გუშინვე ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. ყაზახეთმა რუსეთს უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით 0:1, დამარცხდა. სხვათა შორის, ამ მატჩს ყარაღანდის "შახტიორის" ახალი თავკაცი **რევაზ ძოძუაშვილიც** დაესწრო.

**ყაზახეთი–რუსეთი 0:1**

22 აგვისტო. ყარაგანდა. შახტიორი. 9 000 მაყურებელი.

0:1 ძიუბა (82)

ყაზახეთი: დეკხანოვი, ბალტაევი, ტაჯიბაიული, კისლიცინი, მუხტაროვი (კაპ.), ჟუმახაროვი, კუკეევი (85. ხასანოვი), ნოსკოვი, ნურგალიევი, კენბაევი (79. შაპურინი), ალეინიკოვი (65. ჩურეევი).

რუსეთი: ჯანაევი, ნაბაბკინი, ლებედევი, გრანატი, ლუკანჩენკოვი, ტარანოვი (კაპ.), კ. კომბაროვი, დ. კომბაროვი, ფაიზულინი (75. სამსონოვი), კონცედალოვი (46. კოჟანოვი), ლუცენკო (40. ძიუბა).

გაფრთხილება: ლუცენკო (29), ლებედევი (35), ალეინიკოვი (49), ტარანოვი (58.)

არბიტრი: ი. ვან დერ ველდე (ბელგია)

ესპანეთი, რომელსაც რუსეთისა და პოლონეთის დარად სამი ქულა აქვს, გუშინ ისვენებდა. ამჟამინდელი სატურნირო ცხრილი და სექტემბერში ჩასატარებელი მატჩების ჩამონათვალი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 2. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 4. ყაზახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 5. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

07.09.07.

**საქართველო-ყაზახეთი**

რუსეთი-პოლონეთი

11.09.07.

**ესპანეთი-საქართველო**

პოლონეთი-ყაზახეთი

დავით **ცაბაძე**

**ფიფას რეიტინგი**

# რვა საფეხურით უკან

FIFA

გუშინ ფიფამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც რამდენიმე ცვლილებაა. ჯერ მოწინავე ათეულს შევეხოთ, მერე კი ჩვენი ჯგუფის მეტოქეებზე ვთქვათ. როგორც ხედავთ, მოწინავე ხუთეულში არანაირი ცვლილება არაა. მომდევნო ხუთ საფეხურზე კი გარკვეული გადანაცვლებებია.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეება, იტალია და საფრანგეთი მესამე და მეოთხე ადგილზე უძრავად არიან. პოზიცია არ შეუცვლია ლიტვას და ისევ 78-ეა. ორი ადგილით ზემოთ აინაცვლა უკრაინამ, შოტლანდია ერთით დაეშვა, ხოლო ფარერები ორი ადგილით დაქვეითდა. საქართველო, რომელსაც ივნისის შემდეგ თამაში აღარ ჩაუტარებია, ერთბაშად 8 საფეხურით დაქვეითდა. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, რეიტინგში 22 საფეხურით გვისწრებს სომხეთი. ჩვენს წინაა ტანზანია, ზიმბაბვე, კაპე ვერდე და სხვები.

ფიფას ახალ რეიტინგში მოწინავე ათეულისა და ჩვენი ჯგუფის განლაგება ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1(1). ბრაზილია | 1508 |
| 2(2). არგენტინა | 1491 |
| **3(3). იტალია** | **1430** |
| **4(4). საფრანგეთი** | **1380** |
| 5(5). გერმანია | 1337 |
| 6(7). ხორვატია | 1223 |
| 7(6). ჰოლანდია | 1211 |
| 8(9). ესპანეთი | 1165 |
| 9(11). ჩეხეთი | 1158 |
| 10(8). პორტუგალია | 1157 |
| **15(17). უკრაინა** | **1002** |
| **23(22). შოტლანდია** | **913** |
| **78(78). ლიტვა** | **401** |
| **103(95). საქართველო** | **325** |
| **190(188). ფარერები** | **17** |

CDN ქავქასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

დინამო -

# გრიშიკაშვილი უკვე ვარჯიშობს

## ოვონოს სამი კვირა

როგორც იცით, ვენის "რაპიდთან" თბილისის "დინამოს" მეკარე **დიდიე ოვონომ** ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. მას აქამდე მუხლი ჰქონდა გასიებული და დიაგნოზის დასმა ჭირდა. უფრო მეტიც, პირველადი დაკვირვების საფუძველზე, ექიმები ოპერაციასაც არ გამორიცხავდნენ. თუმცა, საბედნიეროდ, ასე რთულად არ ყოფილა საქმე.

ჩვენი ინფორმაციით, ოვონო ოპერაციას გადაურჩა. მას სარეაბილიტაციოდ სამი კვირა ესაჭიროება. ოვონოს ტრავმის გამო, ნაკრებშიც გაუცდა თამაში. გაბონის ეროვნულ გუნდში ფორვარდ **ჟორჟ აკირემისთან** ერთად ისიც იყო გამოძახებული. აკირემი რამდენიმე დღით სამშობლოს გაემგზავრა, მისმა ნაკრებმა გუშინ საფრანგეთში ბენინთან ითამაშა.

რადგან მეკარეების თემას შევეხეთ, **სოსო გრიშიკაშვილიც** არ უნდა გამოგვრჩეს. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ გრიშიკაშვილი ევროტურნირების დაწყებამდე, გერმანიაში ჩატარებული მოსამზადებელი შეკრებისას დაშავდა. მას თითი ჰქონდა მოტეხილი, მაგრამ სამკურნალო კურსი უკვე დაასრულა. როგორც გავიგეთ, გრიშიკაშვილი, რომელიც დღე-დღეზე მამა გახდება, უკვე გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ვარჯიშიც განაახლა.

დაბოლოს, "დინამოში" კვლავ ვარჯიშობს კამერუნელი ნახევარმცველი **რაიმონ ვუკუე**. მისი საკითხი ჯერ კიდევ არ გარკვეულა. სატრანსფერო პერიოდი აგვისტოს ბოლოს მთავრდება და "დინამოს" ხელმძღვანელობას ვუკუეს საკითხის გადასაწყვეტად დრო კიდევ აქვს.

**დავით ცაბაძე**



სოსო გრიშიკაშვილი

ლეგიონერი მწვრთნელი

# ძოძუაშვილი წარადგინეს

## ყაზახებს ქართველი მწვრთნელისა ეიმედებათ

როგორც წინა ნომერში გაცნობეთ, **რევაზ ძოძუაშვილი** ყაზახეთში გადაბარგდა და ყარაღანდის "შახტიორი" ჩაიბარა. გუშინწინ ეს ცნობა არც რუსულ და არც ყაზახურ წყაროებს არ დაუდასტურებიათ. გუშინ კი ამის შესახებ უკვე არაერთი ცნობა გავრცელდა.

*"62 წლის ქართველი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ყარაღანდის "შახტიორმა" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოფიციალურად წარადგინა. ყარაღანდული კლუბის ხელმძღვანელობა ქართველ მწვრთნელზე დიდ იმედებს ამყარებს"*, - წერენ ყაზახური წყაროები.

ჩვენი ინფორმაციით, "შახტიორის" ხელმძღვანელობამ ძოძუაშვილს დუბლებზე მეთვალყურეობაც დაავალა. ამასთან, "შახტიორის" მეპატრონეს კიდევ ერთი კლუბი ჰყოლია, რომელიც მეორიდან პირველ (უმაღლეს) ლიგაში გადასვლისთვის იბრძვის. ქართველმა მწვრთნელმა გარკვეული კოორდინაცია მასაც უნდა გაუწიოს.

ცნობისათვის, ყარაღანდელები ყაზახეთის ჩემპიონატში ამჟამად მესამე ადგილზე არიან და ლიდერ "აქტობეს" სამი ქულით ჩამორჩებიან. დებიუტი 27 აგვისტოს შედგება.

**დავით ცაბაძე**



ატარებს ძოძუაშვილი შახტიორს სწორი გზით?

მერანი

# პირველი მატჩი ახალ სტადიონზე

როგორც იქნა, "მერანის" სტადიონის მშენებლობის ძირითადი ნაწილი დასრულდა და თბილისური გუნდი ახალ არენაზე პირველ მატჩსაც გამართავს. ეს ხვალ მოხდება, როცა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში თბილისური გუნდი ცხინვალის "სპარტაკს" უმასპინძლებს.

ახალი სტადიონი, რომელსაც "მერანი" ერქმევა, 31-ე ქარხნის დასახლებაში მდებარეობს, "შევარდენიდან" ორიოდე კილომეტრის სავალზე. შეგახსენებთ, წინა სეზონში "მერანი" მეტოქეებს სწორედ "შევარდენზე" მასპინძლობდა. მოსამზადებელი პერიოდის შეხვედრები კი **თამაზ კოსტავას** გუნდმა თავისი ფარმკლუბის, "ნორჩი დინამოს" არცთუ კეთილმოწყობილ სტადიონზე გამართა. აქვე ჩაატარა "მერანმა" ერთი ოფიციალური მატჩიც - საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალი.

ერთი სიტყვით, ხვალ "მერანზე" მისვლა უნდა ღირდეს. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში ახალი სტადიონები ბოლო პერიოდში ძალზე იშვიათად იხსნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



წინა სეზონი მერანმა შევარდენზე გაატარა

ოლიმპი

# ქასრაშვილი წავიდა

როგორც გახსოვთ, ევროთასების წინ "ოლიმპის" მაშინდელი მთავარი მწვრთნელის, **ვარლამ კილასონიას** ასისტენტად **ხვიჩა ქასრაშვილი** დანიშნეს. მისმა რუსთავულმა კარიერამ სულ რამდენიმე კვირა გასტანა. მას შემდეგ, რაც კილასონია მეორე მწვრთნელად ჩამოაქვეითეს და "ოლიმპი" უკრაინელ **ანატოლი პისკოვეცს** ჩააბარეს, ქასრაშვილმა გუნდში თავისი საჭიროება ველარ დაინახა და "ოლიმპს" დაემშვიდობა.

შესაძლოა, უახლოეს პერიოდში მან ახალი შეთავაზება მიიღოს. შეგახსენებთ, "ოლიმპამდე" იგი საჩხერის "ჩიხურაში" მუშაობდა, მანამდე კი წარმატებით წვრთნიდა ბოლნისის "სიონს".

ეროვნული ჩემპიონატი და თასი

# დრო ცნობილია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები სექტემბრის თვეში 17 საათზე დაიწყება. ეს ადრევე გარკვეული იყო და ამ მხრივ არც არაფერი შეცვლილა. რაც შეეხება სათასო შეხვედრებს, აქ მცირედი ცვლილებაა. პროფლიგის გენერალურ მდივნის, **პაატა ბურჯალიანის** თქმით, თასის გათამაშების პირველი ეტაპის საპასუხო მატჩები 28 და 29 აგვისტოს 16:30-ზე დაიწყება.

ხსოვნის უკვდავსაყოფად

# 31 აგვისტოს, რუსეთთან

31 აგვისტოს, მოსკოვში, "ლუჟნიკის" სტადიონზე რუსი და ქართველი ვეტერანი ფეხბურთელები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს მატჩი ორი ლეგენდარული კომენტატორის, **კოტე მახარაძისა** და **ნიკოლაი ოზეროვის** ხსოვნას ეძღვნება. რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა უკვე გაავრცელეს ცნობა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ნაკრებში **ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, ლევან ნოდია, გელა კეტაშვილი, ვახტანგ კოპალეიშვილი** და სხვები ითამაშებენ. რუსეთს, რომლის მწვრთნელი **ნიკიტა სიმონიანი** იქნება, **იური გავრილოვი, ვაგიზ ხიდიატულინი, ფიოდორ ჩერენკოვი, გეორგი იარცევი, ანდრეი იაკუბიკი, ვალერი შავეიკო, ბორის პოზდნიაკოვი, ალექსანდრ ნოვიკოვი, ანდრეი პიატნიცკი** და სხვები წარადგენენ.

ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა ქართველთა გუნდში ახალგაზრდა ვეტერანებმა **კახა ცხადაძემ, გიორგი ნემსაძემ** და მათმა თაობის ფეხბურთელებმაც იასპარეზონ.

**დავით ცაბაძე**



კოტე მახარაძე

## განცხადება

აფხაზეთის ღია ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება ოთხ ასაკობრივ ჯგუფში:

1. 1986-88 წ.წ. დაბადებულთა შორის, მათ შორის მონაწილეობის უფლება ექნება ხუთ ნებისმიერი ასაკის მოთამაშეს;
2. 1989-90 წ.წ. დაბადებულთა შორის;
3. 1991-92 წ.წ. დაბადებულთა შორის;
4. 1993-94 წ.წ. დაბადებულთა შორის.

თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და სტუმრად).

მონაწილეობის უფლება აქვს ალმოსავლეთი საქართველოს ნებისმიერ კლუბს (გუნდს), რომელიც შეასრულებს რეგლამენტის მოთხოვნებს.

სანევროს, მომსახურე მსაჯთა და დამკვირვებლის ანაზღაურების საკითხი გადაწყდება მონაწილე გუნდების წარმომადგენლებთან კონსულტაციების, სფფ-ს რეკომენდაციებისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

გათამაშებაში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით, გარდამავალი თასით, მედლებითა დიპლომებით. ამის გარდა, დაწესებულია წამახალისებელი პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის.

თათბირი გუნდების წარმომადგენლებთან გაიმართება მ.წ. 24 აგვისტოს, 12:00 საათზე.

მისამართი: ქ. თბილისი შ. იამანიძის №5

საკონტაქტო ტელეფონები: 35-60-12. 94-29-39. 899-57-91-96

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია**

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა




# არველაძე ლევანტემდე: გარაჟის სხვენზე დაწყებული ამბავი

დასასრული. დასაწყისი იხ. ლელო №197

ტყუპები თურქეთში დაბრუნდნენ. 1995-96 წლების სეზონის წინ შოთამ პირობა დადო, ჩემპიონატის ბომბარდირი უპენალტოდ გავხდებიო და სიტყვა შეასრულა - 25 გოლით გახდა "Gol Kral" - "გოლის მეფე" - ასე უწოდებენ თურქები ბომბარდირს.

*"გუნდის მწვრთნელი შენოლ გიუნეში იყო, მაშინ ის ჯერ არ გახლდათ სახელგანთქმული სპეციალისტი და ვინ წარმოიდგენდა, რომ 2002 წელს თურქეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილს მოაპოვებინებდა. მან ნამდვილ პროფესიონალად ჩამომაყალიბა. თითქმის ყველა ის ნიუანსი გამაცნო, რაც საჭიროა პროფესიულ დონეზე სათამაშოდ - გასახდელიდან მინდვრამდე ბევრი ასეთი დეტალია. ჩემი თავი ყველას შეაყვარა გუნდში, ყველაფერს თანდათან მაჩვევდა."*

თურქეთის მთავარმეგოლეს ესპანურმა "დეპორტივომ" დაადგა თვალი. შოთამ მათ ასეთი პირობა წაუყენა - ჩემთან ერთად "დეპორტივოში" აჩიც უნდა წამოვიდესო. ლაკორუნიელები ამას არ დათანხმდნენ, აჩი მაშინ ტრავმირებული იყო და ყავარჯნებით დადიოდა.

*"მაშინ "დეპორტივოში" რომ წავსულიყავი, ალბათ მთელ დარჩენილ კარიერას ესპანეთში გავატარებდი. კარგი ქვეყანაა და ფეხბურთსაც ლამაზად თამაშობენ. მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, აჩის კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, ტრავმირებულ ტყუპისცალს თურქეთში მარტოს ვერ დავტოვებდი. მის გარეშე არაფერი მილირდა. დღესაც ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. "დეპორტივოზე" უარი კი ვთქვი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაცილებით უფრო ტიტულოვან და სახელიან გუნდში გადავედი."*

პირველივე აიაქსურ სეზონში შოთა ჰოლანდიის ჩემპიონი, თასის მფლობელი, ერთ-ერთი ბომბარდირი და უეფას თასის ბომბარდირი გახდა.

*"მომდევნო სეზონს, ალბათ, კიდევ უფრო ძლიერად ვითამაშებდი, მაგრამ ცუდ დროს მივიღე ტრავმები. ჯერ საზარდული ამტკივდა და რვა კვირა გამიცდა, მერე კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურს ეტაპზე ამსტერდამში "ოლიმპიაკოსთან" უმძიმესი ტრავმა მივიღე - მეტოქემ ისე ჩამარტყა, მუხლის ხრტილი ჩამემტვრა, თანაც ამ მუხლზე თურქეთში თამაშის დროსაც მქონდა სერიოზული ტრავმა. მოკლედ, 6-7 თვე მოვუნდი გამოჯანმრთელებას".*

იმ სეზონში "აიაქსში" **გიორგი ქინქლაძე** მივიდა, მას **მიქაელ ლაუდრუპი** უნდა შეეცვალა, მაგრამ... **მორტენ ოლსენმა** ის მარცხენა ფლანგზე გაამწესა, რაც გიოსთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. შოთა და ის ბავშვობიდან მეგობრობდნენ, "აიაქსის" მეგოლეს გიო უნდა დაერწმუნებინა იმაში, რომ პირველ ხანებში მოეთმინა მარცხენაფლანგელად თამაში. თუმცა... *"გიოს ვერაფრით მოვერიე. მას მხოლოდ გამთამაშებლად უნდოდა თამაში, სჯეროდა, რომ მხოლოდ ამ პოზიციაზე უნდა ეთამაშა. ის "აიაქსში" უკვე დიდი სახელით ჩამოვიდა. "მანჩესტერ სიტიში" რომ არ მოეხდინა ფურორი, "აიაქსში", ალბათ, სხვანაირად მოიქცეოდა".*

ოთხი აიაქსური სეზონის შემდეგ, შოთა "გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა - აიბროქსელებს ტრანსფერი სამი მილიონი დაუჯდათ. პირველი ორი სეზონი არველაძემ ძლიერად ჩაატარა. მერე ოპერაცია გაიკეთა - მუხლი ხრტილის ნაფშვენებისაგან ამოუწმინდეს. სარეაბილიტაციო პერიოდს ოთხი თვე მოანდომა. ბოლო რეინჯერსულ სეზონში ის ხან ცენტრალური ნახევარმცველი იყო, ხან გამთამაშებელი, ხან გარემარბი, ხან მარცხენა თუ მარჯვენა ნახევარმცველი.

*"ალექს მაკლიშმა მხოლოდ რვა თამაშში არ დამაყენა სასტარტოში. რაც შეეხება პოზიციების ცვლას, მწვრთნელი იქ მაყენებდა, სადაც ყველაზე უფრო უჭირდა გუნდს, ერთი სიტყვით, ვერ ვიტყვი, რომ ბოლო რეინჯერსული სეზონი ცუდად ვითამაშე, უბრალოდ, ბევრი გოლი ვერ გავიტანე".*

ასაკის მატება და ქრონიკული ტრავმა, ნემსები, წამლები, მიკროტრავმები... იქნებ დროა, თამაშს თავი დაანებოს, მაგრამ არა, არველაძე ჰოლანდიაში ბრუნდება, **ლუი ვან გაალის** "ალკმაარში".

ჰოლანდიაში შეარქვეს შოთას "მისტერ ბინი", simple Shota, Showtime... მისი ყველაზე პოპულარული თიკუნი "მისტერ ბინია", ცნობილი ბრიტანელი კომიკოსის, **როუენ ატკინსონის** პერსონაჟი. "მისტერ ბინი" არველაძეს აიაქსელმა თანაგუნდელმა **მარტინ როიზერმა** შეარქვა, გარეგნობითაც გავხარ მას და "მისტერ ბინივითაც" ოხუნჯობო. ჰოლანდია, შოტლანდია, რუსეთი... ეს თიკუნი ყველგან მოსწონთ, საქართველოში კი მაინცდამაინც არა, ზოგს აღიზიანებს კიდეც შოთას იუმორი და ზოგს ისიც სჯერა, რომ ის ადგენდა ნაკრების შემადგენლობას, რომ მან და მისმა მეგობრებმა შექმნეს ნაკრებში "დედოვშინა". საქართველოში, ალბათ, ძალიან ძნელია, რომ თან "მისტერ ბინი" იყო და თან ყველას უყვარდე.

**- სანაკრებო კარიერაში ხინჯად ალბათ ის გრჩება, რაც რუსეთთან მატჩის წინ მოხდა...** - ჩავეძიე შოთას.

- მანამდეც მომხდარა, რომ მწვრთნელს ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში არ დავუყენებივარ, რუსეთთან მატჩის დღეს კი ეს კედელზე გაკრული სიით გავიგე, თამაშის წინა დღეს რომ ეთქვა ეს ჩემთვის, ჩვეულებრივ რამედ მივიღებდი. რუსეთთან თამაშის დღეს რომ გავიგე, საჭირო არ ვიყავი, შეკრებიდან წამოვედი. გუნდის კაპიტანი **გია ნემსაძე** დილმის ბაზის ჭიშკრამდე გამომყვა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ გადაწყვეტილებას ვერ გადამათქმევინებდა, შემეშვა. რა თქმა უნდა, არასწორად მოვიქეცი, ისე კი, სანაკრებო თუ საკლუბო კარიერაში ბევრი შეცდომა ნამდვილად არ დამიშვია.

**- 34 წლის ხარ, ბევრს მიაღწიე. რა გაძლევს იმის მოტივაციას, რომ ქრონიკულად ტრავმიანმა კიდევ ითამაშო?**

- მთავარი მოტივაცია ის არის, რომ იმას ვაკეთებ, რაც მიყვარს და ეს ახლაც კარგად გამომდის. თუ ამ საქმეს ცუდად გავაკეთებ, მერე იოლი იქნება თავის დანებება. მოტივაციას ისიც იძლევა, რომ შენი უსაყვარლესი საქმის კეთებაში აქეთ გიხდიან ფულს. ისევ მიხარია ვარჯიში და თამაში, მაგრამ თუ ტრავმა გამირთულდება... რაც "ალკმაარში" გადავედი, ერთი ნემსის მუხლში გაკეთებას შევეშვი. გერმანელი ექიმი კრიოპლაზმისგან აკეთებს წამალს, რომელიც შპრიცით შეჰყავს მუხლში, რათა სახსარი გაპოხოს, ხახუნის ძალამ და შესაბამისად, ტკივილმა იკლოს, ასეთ ნემსს კვირაში სამჯერ ვიკეთებდი, თვენახევრის განმავლობაში. თითო ამპულა 1000 ევრო ღირს. ახლა კი ალბათ აღარ ღირს ამ ნემსის გაკეთება, თამაშს მალე დავასრულებ. მთავარია, მალე მოვმჯობინდე და ოქტომბერში უკვე შემეძლოს "ლევანტეში" თამაში.

**- ფეხბურთელობის მერე მწვრთნელობას აპირებ. შენი პირველი სამწვრთნელო გუნდი ქართული იქნება?**

- ჯერ არ ვიცი, ზოგადად კი ქართული გუნდის გაწვრთნაზე უარს არ ვიტყოდი. ფეხბურთი არსად არ არის სათაკილო.

**- ვის დაემსგავსება მწვრთნელი შოთა არველაძე, ლუი ვან გაალს თუ რომელიმე წარმატებულ, დაცვითი ფეხბურთის მოტრფიალე იტალიელ მწვრთნელს?**

- ასე კატეგორიულად ვერაფერს გეტყვით. მე შემტევი ფეხბურთი მომწონს და იმ მწვრთნელებს არ მივბაძავ, დაცვითი სტილით რომ აღწევენ შედეგს. მაგრამ იმასაც გააჩნია, რა კონტინგენტი გეყოლება გუნდში. თუ იმის საშუალება მექნება, რომ გუნდი საკუთარი გემოვნებით დავაკომპლექტო, სულ იმას შევეცდები, რომ გუნდმა თავი შეტევით დაიცვას.

**- ნაკრების ვარჯიშებზე არაერთხელ მინახავს, რომ უფუცხუნებ შედარებით გამოუცდელ ფეხბურთელებს. მომავალი მწვრთნელი ალბათ იმაზეც უნდა ფიქრობდეს, რომ დამოძღვრის ასეთი მეთოდი ხანდახან უკურეაქციებსაც იწვევს...**

- ვარჯიშებზე დიდ ემოციას ვხარჯავ და ალბათ იმიტომ გამომდის ასე. ერთსა და იმავეს რომ იმეორებ და მაინც უკულმა რომ აკეთებენ ყველაფერს, მერე ძნელია მშვიდად საუბარი. ნაკრებში მეც მიყვიროდნენ ჩემი თანაგუნდელები - ნემსაძე, ჯამარაული, ცხადაძე, ქეცბაია - ყვირილი ფეხბურთის ნაწილია, ვფიქრობ, ვარჯიშებზე ისე არ ვყვირი, რომ ვინმეს ვაწყენინო.

**- ფეხბურთი არის დიდი შრომა და რაღაც-რაღაცებზე უარის თქმა. ეს ზოგადი ნათქვამია, კონკრეტულად კი რა რჩევას მისცემდა შოთა არველაძე დამწყებ ფეხბურთელს?**

- უფრო ყურადღებიანი უნდა იყოს, როცა რჩევას აძლევენ. მივედი, ვივარჯიშე, წამოვედი - ამის გარდა, სულ ახლის ძიებაში უნდა იყოს და წინ იყურებოდეს - ასე უფრო მალე მოვა შედეგი. ყველაფერ ამას კი ფეხბურთის დიდი სიყვარული სჭირდება.

"მისტერ ბინის" ამბავი კი ამით არ მთავრდება. ის კიდევ ითამაშებს ფეხბურთს და ფეხბურთელობის შემდეგაც ფეხბურთში დარჩება. ყველაზე მეტი გოლი ეროვნულ ნაკრებში, ყველაზე მეტი გოლი "ამსტერდამ ერანაზე", პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე მეტი გოლი სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს ლიგებში... ალბათ, უხერხულიცაა იმის კითხვა, თუ ვინ არის დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფორვარდი. ვან გაალმა კი თქვა, ვისთანაც მიმუშავია, ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი მათგან შოთა არველაძეაო. "აიაქსი", "ბარსელონა", ჰოლანდიის ნაკრები - "ალკმაარის" გარდა, ვან გაალს ეს გუნდებიც გაუწვრთნია...

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაციო

# ექსტრემალური სიტუაცია: პერუცი ბრუნდება?

"ლაციო" მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. "ბიანკოჩელესტეს" კარი, შეიძლება ითქვას, დაუცველია. ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე ("ლაციალე" პირველ მატჩს შაბათს ატარებს) გუნდს ძირითადი მეკარის პრობლემა შეექმნა. **დელიო როსის** იმედი ჰქონდა, რომ არგენტინელი კიპერის **ხუან პაბლო კარისოს** ტრანსფერს დროულად მოაგვარებდა, მაგრამ საქმე უსაშველოდ გაიწელა. სამხრეთამერიკელს სავიზო სირთულეები აქვს და როგორც ჩანს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე (31 აგვისტო) ამ საქმიდან არაფერი გამოვა. უკეთეს შემთხვევაში, იმედისმომცემ მეკარეს კლუბი იანვრამდე ვერ აიყვანს.

ასე რომ, როსის ხელთ 43 წლის **მარკო ბალოტა** და 24 წლის გამოუცდელი **ტომაზო ბერნი** შერჩნენ. დღესდღეობით, არც ერთი და არც მეორე საჭირო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. გუშინდელ ნომერში **კარლო კუდიჩინის** თაობაზე ვწერდით. ადრე ის სწორედ "ლაციოს" სკამს ხეხავდა, ახლა კი ანალოგიური საქმით "ჩელსიშია" დაკავებული. რომაული კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, კუდიჩინის კონტრაქტი შესთავაზოს, მაგრამ მოლაპარაკებებისთვის დრო მცირეა. მოსალოდნელია, რომ ეს მოლაპარაკებებიც გაჯანჯლდება, რადგან "არისტოკრატებს" იტალიელი მეციხოვნის გაშვება არ უნდათ.

მაშ, სად არის გამოსავალი? "ლაციოს" დახმარების ხელს უწვდის **ანჯელო პერუცი**, რომელმაც კარიერა ივნისში დაასრულა და ახლა თავის მშობლიურ ქალაქ ბლერაში (რომთან ახლოს) ცხოვრობს. 37 წლის ვეტერანი "მესაჯეროსთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ მზადაა, დაუბრუნდეს მწვანე მინდორს, თუ ამას "ლაციო" ისურვებს.



ანჯელო პერუცი

*"თუ კლუბს უნდა, ეს ჩემთვის პრობლემა არ იქნება. "ლაციოში" 7 წელიწადი გავატარე. ამ გუნდთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს, დღემდე მშვენიერი ურთიერთობა მაქვს ფანებთანაც. კიდევ ვიმეორებ, თუ "ლაციალეს" სურვილი ექნება, შეუძლია მიმსახუროს. რა თქმა უნდა, ახლა ვერ ვიქნები ისეთ ფორმაში, როგორშიც სამი თვის წინათ ვიყავი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გუნდის დახმარება შემიძლია".*

მიუხედავად კარიერის დასრულებისა, პერუცის ვარჯიში არ შეუწყვეტია და როგორც ამბობენ, წონაშიც საგრძნობლად დაიკლო. მოკლედ, ახლა სიტყვა "ლაციოზეა".

რა მოხდა სინამდვილეში...

# კაპელო: ბექჰემთან მართალი ვარ, ის დირექტორებმა მოკვეთეს



ფაბიო კაპელო და დევიდ ბექჰემი

**ფაბიო კაპელოსა** და "რეალს" შორის დაპირისპირება გრძელდება. იტალიელი ტაქტიკოსი, რომელმაც მასმედიაში გადაინაცვლა და ექსპერტობითაა დაკავებული, ლამის ყოველდღიურად, ახალ-ახალ აღიარებებს აკეთებს. ესპანურ "მარკასთან" ინტერვიუში ის ნათელს ჰფენს **დევიდ ბექჰემის** თემას, აცხადებს რა, რომ მისი მოკვეთა სამეფო კლუბის დირექტორთა ინიციატივა იყო. როგორც გახსოვთ, ბექზმა "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" კონტრაქტი მაშინ გააფორმა, როცა ანალოგიური ვალდებულებებით "რეალთან" იყო დაკავშირებული. ჩათვალეს, რომ გაბრაზებულმა კაპელომ შური იძია და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სკამზე დასვა. მაგრამ ახლა სრულიად საწინააღმდეგოს ვიგებთ:

*"ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობამ მიიღო. მათთვის მიუღებელი იყო, რომ "რეალთან" მოქმედი კონტრაქტის პირობებში, ბექჰემი დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებებს ამერიკულ კლუბთან, რომელთანაც მერე ხელშეკრულებაც გააფორმა. მათ ჩათვალეს, რომ "რეალს" არ გამოადგებოდა ფეხბურთელი, რომელსაც თვალი უკვე სხვა კლუბზე ეჭირა".*

...და კაპელოც იძულებული გახდა, დირექტორთა გადაწყვეტილებისთვის მხარი დაეჭირა: *"როცა ამა თუ იმ კლუბში ვმუშაობ, ვალდებული ვარ, მისი ღირსება და ინტერესები დავიცვა,"* - დასძენს მაესტრო. მაგრამ... მაგრამ ამ ამბებიდან ერთი თვის შემდეგ მან ბექჰემს შემადგენლობაში უხმო. როგორც ჩანს, დონ ფაბიომ დაარწმუნა (ან, შეიძლება, გადაწყვეტილება თვითნებურადაც მიიღო) **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი**, რომ დევიდი გუნდისთვის საჭირო ფიგურა იყო. მოგვიანებით, "რეალის" გამარჯვებამ მწვრთნელის სიმართლე გამოააშკარავა. ყველამ აღიარა, რომ ბექჰემის დაბრუნებამ სამეფო კლუბის გაჩემპიონებაში ლომის წილი შეიტანა. შესაძლოა, კაპელოს გადაყენების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ის ხომ დირექტორთა ნების წინააღმდეგ წავიდა...

*"მიატოვიჩი იტყუებოდა. ის მე და ფრანკო ბალდინის ("რეალის" გენერალური მენეჯერი, რომელიც კაპელოსთან ერთად "რომაში" მუშაობდა - რედ) გვარწმუნებდა - თქვენ დარჩებით "რეალში", ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ და დიდ გამარჯვებებსაც ერთად უნდა მივაღწიოთო. არადა, ბალდინის ძალიან სერიოზული წინადადება ჰქონდა სხვა კლუბისგან, რაზეც, მიატოვიჩის ამ სიტყვების შემდეგ, უარი თქვა და გარიგება ჩაშალა. კალდერონისგან კი ნამდვილად არაფერი მსმენია, მას ჩემთვის არც დაურეკავს... ვფიქრობ, მეტ პატივისცემას ვიმსახურებდი იმ ხალხისგან, რომლებიც ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. და სხვათა შორის, ჩემი ავტორიტეტი დაეხმარა კალდერონს საპრეზიდენტო არჩევნების მოგებაში".*

ცხადია, კაპელომ იცოდა, რომ "რეალი" **ბერნდ შუსტერთან** აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ ჩემპიონობის მოგების შემთხვევაში, პოსტს აუცილებლად შეინარჩუნებდა. ის ბჭობდა, კალდერონი კი იცინოდა...

*"ყველაზე დიდი დარტყმა იმან მომაყენა, რომ მადრიდში სერიოზული გეგმებით ჩამიყვანეს და ბოლოს ასე უცერემონიოდ გამიშვეს. მინდა გავიხსენო, რა ხდებოდა გუნდის შიგნით. ძალიან რთული სიტუაცია დამხვდა. "რეალი" დაყოფილი იყო პატარ-პატარა დაჯგუფებებად, რომელთაც სათავეში სხვადასხვა ფეხბურთელი ედგა. წარუმატებლობას ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ. რა თქმა უნდა, ასეთი გუნდი ვერაფერს მოიგებდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს ბიჭები, და მართლა ნიჭიერი ბიჭები, ერთ მუშტად შეგვეკრა. ჩვენ მოვახერხეთ ეს. გაჩნდა გუნდური სულისკვეთება და საერთო ინტერესები, საკუთარი ძალების რწმენა და დიდი ენთუზიაზმი. გაიხსენეთ, როგორ თამაშობდა "რეალი" ჩემპიონატის მეორე ნახევარში. თებერვალში არავის სჯეროდა, რომ ტიტულს მოვიგებდით. ამიტომაა ეს ყველაფერი გულდასაწყვეტი".*

ბოლოს, კაპელოს ისიც შეახსენეს, რომ საჩემპიონო ზეიმზე მიატოვიჩი და კალდერონი, მაინც და მაინც, გახარებულები არ იყვნენ: *"დიახ, მეც შევამჩნიე, რომ მათ დიდად არ გახარებიათ ჩვენი გამარჯვება, რადგან ჩათვალეს, რომ ეს ჩემი გამარჯვებაც იყო".*

მოსალოდნელი ტრანსფერები

# სისინიოს პლუს 20 მილიონი ევრო და რობენი მადრიდშია

## რომა მიგელზე გადაერთო

"სევილია" გაჯიუტდა და არაფრის დიდებით არ უთმობს **დანიელ ალვეშს** "ჩელსის", რომელიც ბრაზილიელში 30 მილიონ ევროს იხდის. ანდალუსიელებს 6 მილიონით მეტი უნდათ. ჰოდა, ლონდონელებიც აღარ აპირებენ ბევრ ხვეწნა-მუდარას და სხვა ვარიანტებს ეძებენ. როგორც "მარკა" გვაუწყებს, მოსალოდნელია სატრანსფერო ტრიპლეტი (სამმაგი), რომელიც "რეალსაც" დააკმაყოფილებს, "სევილიასაც" და "ჩელსისაც".

სამეფო კლუბს ძალიან უნდა **არიენ რობენი**, მაგრამ "სევილიის" არ იყოს, გაჯიუტებულია "ჩელსიც". ამ უკანასკნელს კი ფლანგის მცველები სჭირდება. თუ ალვეში ვერ გამოვა, მაშინ **სისინიოს** აყვანა და გარკვეული გადაჯგუფება შეიძლება. მაგრამ სისინიოსადმი ინტერესს ამჟღავნებს "სევილიაც". "რეალი" ფეხბურთელს 12 მილიონ ევროდ აფასებს. მადრიდელებმა უარი უთხრეს "რომას", რომელიც ბრაზილიელში 8 მილიონ ევროს იძლეოდა. შესაძლოა, იმიტომაც, რომ სისინიო რობენის ტრანსფერისთვის გამოიყენონ. ერთ ვარიანტში, ამ ოპერაციას ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს: ალვეში, ბოლოს და ბოლოს, წავა "ჩელსიში", რობენი მადრიდს მიაშურებს, სისინიო კი "სევილიას".

მაგრამ იგივე "მარკა" მოვლენათა განვითარების სხვა სცენარსაც გვთავაზობს: "რეალის" პირდაპირი კავშირი "ჩელსისთან", რომელსაც 20 მილიონ ევროსა და სისინიოს მისცემს, ამის სანაცვლოდ კი რობენს "სანტიაგო ბერნაბეუზე" უკრავს თავს. ორივე ფეხბურთელს კლუბის გამოცვლა სურს. მაგალითად, რობენის მამამ დიდი იმედი გამოთქვა, რომ სამეფო კლუბი მისი პირმშოს ტრანსფერს "დედლაინამდე" მოაბამს თავს.

ამასობაში, სისინიოს ფრონტზე განცდილი მარცხის შემდეგ, "რომამ" აქცენტი **მიგელზე** გადაიტანა. შეგახსენებთ, ეს არის პორტუგალიელი მარჯვენა მცველი, რომელიც თამაშის მანერით ძალიან ჰგავს **კაფუს**, ხოლო კაფუ "ოლიმპიკოზე" დღესაც უყვართ. მიგელთან დაკავშირებულ ინფორმაციას კი ყოველდღიური პორტუგალიური გამოცემა "ო ჟოგუ" ავრცელებს. ამ ინფორმაციის თანახმად, "რომას" მესვეურთ "ვალენსიის" ოფისში ფაქსი გაუგზავნიათ. იტალიური მხარე კოლეგებს მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობს. ფეხბურთელის ფასზე, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.



არიენ რობენი

## რონალდო მალე დაბრუნდება, მალდინი სექტემბრის ბოლოს

"მილანის" სუპერფორვარდი **რონალდო** დაშავებულია. ბრაზილიელი სერია A-ს პირველ ორ ტურს დააკლდება. ის 26 აგვისტოს "ჯენოასთან" სტუმრად და 9 სექტემბერს "ფიორენტინასთან" შინ ვერ ითამაშებს, შუალედში კი, 31 აგვისტოს, "სევილიასთან" ევროპის სუპერთასის მატჩიც გაუცდება. მისი დაბრუნება 9 სექტემბერს, სიენის "სტადიო კომუნალეზე" იგეგმება. ამასობაში, მილანელთა 39 წლის ლეგენდა **პაოლო მალდინი** იმედს არ კარგავს, რომ მინდორს სექტებრის ბოლოს დაუბრუნდება. ერთ კვირაში ის სირბილს დაიწყებს და დანარჩენ გუნდთან ერთად შეუდგება ვარჯიშს. *"ოპერაციას იმიტომ დავთანხმდი, რომ ძირითადში რეგულარულად ვითამაშო და არა ეპიზოდურად,"* - განუცხადა ფეხბურთელმა უეფას ოფიციალურ ვებგვერდს.

მოახლოვდა იტალიის ჩემპიონატის პირველი ტური. მილანელები "ჯენოას" ესტუმრებიან. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, როსონერის გულშემატკივრებს გენუაში გამგზავრება აუკრძალოს. 1995 წელს ამ გუნდების მატჩი ტრაგედიით დასრულდა. მავანმა მილანელმა ქომაგმა გენუელ გულშემატკივარს დანა დაარტყა და მოკლა. შიშობენ, რომ ვილაცამ, შეიძლება, შური იძიოს. "ჯენოა" სერია A-ში 12-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. ოქტომბერში მისი სტადიონი იტალია-საქართველოს საკვალიფიკაციო შეხვედრასაც უმასპინძლებს.

## პაინცე რეალში, 12 მილიონად

**გაბრიელ პაინცე** "რეალში" ჩაირიცხა. "მარკა" იუწყება, რომ "მანჩესტერ იუნაიტედს" 12 მილიონი ევრო გადაუხადეს. ერთი დღით ადრე არგენტინელ მცველს "ლიონი" დაუკავშირდა. საფრანგეთის ჩემპიონები 9 მილიონ ევროს იხდიდნენ. ჰაინცეს ყველაზე მეტად ლივერპულში გადასვლა სურდა, მაგრამ "მენიუმ" ამ ტრანსფერის ჩასაშლელად ძალღონე არ დაიშურა. ფეხბურთელმა პრემიერლიგის სააპელაციო კომიტეტშიც კი წააგო საქმე. "მარკამ" ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია გუშინ საღამოს გაავრცელა. იქამდე ფეხბურთელი კატეგორიულად უარყოფდა ესპანურ და ფრანგულ კლუბებთან მოლაპარაკებების ფაქტს და ისევ ლივერპულზე საუბრობდა. გუშინვე ინგლისურმა სააგენტოებმა გვაუწყეს, გაბრიელმა, შეიძლება, "ვესტ ჰემში" მიაშუროსო. "სანი" საიჯარო ხელშეკრულებაზე საუბრობდა. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი "რეალის" სასარგებლოდ გადაწყდა. გარიგების დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი. დასასრულს შეგახსენებთ, რომ მადრიდელებს ორი მარცხენა მცველი უკვე ჰყავთ - **მარსელო** და **მიგელ ტორესი**, მაგრამ **ბერნდ შუსტერი** მათ იმედად ყოფნას არ აპირებს. ჰაინცესათვის პრიმერა დივიზიონი უცხო არ არის. 1997-98 და 1999-2001 წლებში ის "ვალიადოლიდში" თამაშობდა.

## კუდიჩინის რიგი უდგას

გუშინ გაცნობეთ, რომ **კარლო კუდიჩინის** დამატების სურვილი "მანჩესტერ სიტის" შემდეგ რომის "ლაციოსაც" გაუჩნდა. ახლა კი "დეილი მეილის" ინფორმაციით, იტალიელის მსურველთა რიგს "არსენალი" და "ნიუკასლიც" შეუერთდნენ. ორივე კლუბს საკუთარი მიზეზი აქვს, რათა კვალიფიციური მეკარის ძებნას შეუდგეს. "კაჭკაჭებს" ძირითადი მეკარე **შეი გივენი** ჰყავთ სერიოზულად ტრავმირებული, ხოლო "მეთოფეების" ძირითადი გოლკიპერი **იენს ლემანი** აღმაშფოთებელ შეცდომებს უშვებს. საწყის 2 ტურში "არსენალმა" 2 გოლი გაუშვა და ორივე გერმანელის წყალობით. ისევ კუდიჩინის დავუბრუნდეთ. კარლოს ყელში აქვს ამოსული სკამზე ჯდომა. მას შემდეგ, რაც ლონდონში **პიოტრ ჩეხი** ჩავიდა, მას 15 თამაში აქვს ჩატარებული ძირითად შემადგენლობაში. შარშანდელ სეზონში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჩეხის მძიმე ტრავმის შემდეგ გუნდის ძირითადში ადგილი **მოურინიომ** თანამემამულე **ენრიკე ილარიოს** ანდო. რაც ამბიციური იტალიელის თავმოყვარეობაზე დამღუპველად მოქმედებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი 2007/08. განაცხადები

## რეალი

დაარსდა: 1902
სტადიონი: სანტიაგო ბერნაბეუ (78 500)

#### მეკარეები

| | |
|---|---|
| 1. იკერ კასილიასი | 20.05.81 |
| 25. იერჟი დუდეკი (პოლ) | 23.03.73 |

#### მცველები

| | |
|---|---|
| 2. მიჩელ სალგადო | 22.10.75 |
| 3. პეპე (ბრა) | 26.02.83 |
| 4. სერხიო რამოსი | 30.03.86 |
| 5. ფაბიო კანავარო (იტა) | 13.09.73 |
| 11. სისინიო (ბრა) | 24.06.80 |
| 12. მარსელო ვიეირა (ბრა) | 12.05.88 |
| 21. კრისტოფ მეცელდერი (გერ) | 05.11.80 |
| 22. მიგელ ტორესი | 28.01.86 |
| გაბრიელ ჰაინცე | 19.03.78 |

#### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| 6. მაჰამადუ დიარა (მალი) | 18.05.81 |
| 14. გუტი | 31.10.76 |
| 15. როისტონ დრენტე | 08.04.87 |
| 16. ფერნანდო გაგო (არგ) | 10.04.86 |
| 19. ჟულიო ბაპტიშტა (ბრა) | 10.01.81 |
| 23. ვესლი სნეიდერი | 09.06.84 |
| 27. რუბენ დე ლა რედი | 05.06.85 |
| 28. ხავიერ ბალბოა | 13.05.85 |

#### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| 7. რაული | 27.06.77 |
| 9. რობერტო სოლდადო | 27.05.85 |
| 10. რობინიო | 25.01.84 |
| 17. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ) | 01.07.76 |
| 20. გონსალო იგუაინი (არგ) | 10.12.87 |
| 24. ხავიერ სავიოლა (არგ) | 11.12.81 |

*მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი*

## ბარსელონა

დაარსდა: 1899
სტადიონი: ნოუ კამპი (98 000)

#### მეკარეები

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ვალდესი | 14.01.82 |
| 25. ალბერტ ხორკერა | 03.03.79 |
| 28. ოიერ ოლასაბალი | 14.09.89 |

#### მცველები

| | |
|---|---|
| 2. ბელეტი (ბრა) | 20.06.76 |
| 4. რაფაელ მარკესი (მექ) | 13.02.79 |
| 5. კარლეს პუიოლი | 13.04.78 |
| 11. ჯანლუკა ძამბროტა (იტა) | 19.02.77 |
| 12. გაბრიელ მილიტო (არგ) | 07.09.80 |
| 15. ედმილსონი (ბრა) | 10.07.76 |
| 16. სილვინიო (ბრა) | 12.04.74 |
| 21. ლილიან ტიურამი (საფ) | 01.01.72 |
| 22. ერიკ აბიდალი (საფ) | 11.07.79 |
| 23. ოლეგერი | 02.02.80 |

#### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| 3. ტიაგო მოტა (ბრა) | 28.08.82 |
| 6. ჩავი ერნანდესი | 25.01.80 |
| 8. ანდრეს ინიესტა | 11.05.84 |
| 10. რონალდინიო (ბრა) | 21.03.80 |
| 17. იაია ტურე (კოტ დ'ივ) | 13.05.83 |
| 19. ლეონარდო მესი (არგ) | 24.06.87 |
| 20. დეკუ (პორ) | 27.08.77 |

#### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| 7. ეიდურ გუდიონსენი (ისლ) | 15.09.78 |
| 9. სამუელ ეტო'ო (კამ) | 10.03.81 |
| 14. ტიერი ანრი (საფ) | 17.08.77 |
| 18. ჯოვანი დოს სანტოსი (მექ) | 11.05.89 |
| 24. ბოიან კრკიჩი | 28.08.90 |

*მწვრთნელი: ფრანკ რიიკაარდი*

## ვილიარეალი

დაარსდა: 1923
სტადიონი: ელ მადრიგალი (26 000)

#### მეკარეები

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ვიერა (ურუ) | 07.03.83 |
| 13. დიეგო ლოპესი | 03.11.81 |

#### მცველები

| | |
|---|---|
| 2. გონსალო როდრიგესი (არგ) | 10.04.84 |
| 3. ხოსემი | 15.11.79 |
| 4. დიეგო გოდინი (ურუ) | 16.02.86 |
| 5. ხოან კაპდევილა | 02.03.78 |
| 12. პასკალ სიგანი (საფ) | 29.04.74 |
| 17. ხავი ვენტა | 13.12.75 |
| 20. ფაბრისიო ფუენტესი (არგ) | 13.10.76 |

#### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| 6. ხოსიკო | 06.01.75 |
| 7. რობერ პირესი (საფ) | 29.01.73 |
| 8. სანტი კასორლა | 13.12.84 |
| 10. კანი | 03.08.81 |
| 14. მატიას ფერნანდესი (ჩილ) | 15.05.86 |
| 16. ხუან რომან რიკელმე (არგ) | 24.06.78 |
| 18. ლეანდრო სომოსა (არგ) | 26.01.81 |
| 19. მარკოს სენა | 17.07.76 |
| 21. ბრუნო | 12.06.84 |
| 24. რიო მავუბა (საფ) | 08.03.84 |

#### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| 9. გილერმო ფრანკო (მექ) | 03.11.76 |
| 11. იონ დალ ტომასონი (დან) | 29.08.76 |
| 15. ნიჰათ ქავეჩი (თურ) | 23.11.79 |
| 22. ჯუზეპე როსი (იტა) | 01.02.87 |
| 23. ხოსე მარი | 10.12.78 |

*მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი*

## ბეტისი

დაარსდა: 1907
სტადიონი: რუის დე ლოპერა (62 000)

#### მეკარეები

| | |
|---|---|
| 1. ანტონიო დობლასი | 05.08.80 |
| 13. რიკარდო (პორ) | 11.02.76 |
| 26. კასტო | 18.06.82 |

#### მცველები

| | |
|---|---|
| 2. ხუან მელი | 06.06.84 |
| 3. ფერნანდო ვეგა | 03.07.84 |
| 4. ხუანიტო | 23.07.76 |
| 5. დავიდ რივასი | 02.12.78 |
| 6. ბრანო ილიჩი (სლოვენ) | 06.02.83 |
| 12. დამია | 15.04.82 |
| 15. ნანო | 07.07.79 |
| 22. ლიმა | 10.02.84 |

#### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| 7. ხუან პაბლო კაფა (არგ) | 30.09.84 |
| 8. არსუ | 17.03.81 |
| 9. ფერნანდო | 02.06.79 |
| 10. ედუ (ბრა) | 10.01.79 |
| 11. მარკ გონსალესი (ჩილ) | 10.07.84 |
| 14. კაპი | 26.03.77 |
| 17. მარკო ბაბიჩი (ხორ) | 28.01.81 |
| 18. ალბერტო რივერა | 19.02.78 |
| 20. ლეანდრო სომოსა (არგ) | 26.01.81 |
| 21. მიგელ ანხელი | 16.09.78 |
| 23. დავიდ ოდონკორი (გერ) | 21.02.84 |

#### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| 16. მარიანო პავონე (არგ) | 27.05.82 |
| 19. ჩისკო | 05.09.80 |
| 25. რაფაელ სობისი (ბრა) | 17.06.85 |

*მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი*

## ბილბაო

დაარსდა: 1898
სტადიონი: სან მამესი (46 500)

#### მეკარეები

| | |
|---|---|
| 1. გორკა ირაისოსი | 06.03.81 |
| 13. დანიელ არანსუბია | 18.09.79 |

#### მცველები

| | |
|---|---|
| 2. უნაი ესპოზიტო | 23.01.80 |
| 3. ხავიერ კასასი | 09.05.82 |
| 4. უსტარიტისი | 16.02.83 |
| 5. ფერნანდო ამორებიეტა | 21.03.85 |
| 6. ივან სუბიაურე | 22.01.83 |
| 12. კოიკილი | 23.12.80 |
| 14. ლუის პრიეტო | 19.02.79 |
| 19. ანდერ მურილიო | 22.07.83 |
| 20. აიტორ ოსიო | 28.11.76 |

#### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| 7. ტიკო | 15.09.76 |
| 10. ფრანსისკო იესტე | 06.12.79 |
| 11. იგორ გაბილონდო | 10.02.79 |
| 15. ანდონი ირაოლა | 22.06.82 |
| 16. პაბლო ორბაისი | 06.02.79 |
| 18. კარლოს გურპეგი | 19.09.80 |
| 21. დავიდ კუელარი | 01.11.79 |
| 22. ინიაკი მუნიოსი | 05.07.78 |
| 24. ხავი მარტინესი | 02.09.88 |
| 25. დავიდ ლოპესი | 10.09.82 |

#### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| 9. ფერნანდო ლორენტე | 26.02.85 |
| 17. ხოსება ეჩებერია | 05.09.77 |
| 23. არიტს ადურისი | 11.02.81 |

*მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი*

## ატლეტიკო

დაარსდა: 1903
სტადიონი: ვისენტე კალდერონი (56 142)

#### მეკარეები

| | |
|---|---|
| 13. კრისტიან აბიატი (იტა) | 08.08.77 |
| 25. ლეო ფრანკო (არგ) | 20.05.77 |
| ისმაელ ფალკონი | 24.04.85 |

#### მცველები

| | |
|---|---|
| 2. გიურკას სეიტარიდისი (საბ) | 04.06.81 |
| 3. ანტონიო ლოპესი | 13.09.81 |
| 4. მარიანო პერნია | 04.05.77 |
| 12. ფაბიანო ელერი (ბრა) | 19.11.77 |
| 14. ზე კასტრო (პორ) | 13.01.83 |
| 21. ლუის პერეა (კოლ) | 30.01.79 |
| 22. პაბლო იბანიესი | 03.08.81 |
| ხუან ვალერა | 21.12.84 |

#### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| 5. პეტერ ლუქსენი (საფ) | 09.04.79 |
| 6. კოსტინია (პორ) | 01.12.74 |
| 8. რაულ გარსია | 11.07.86 |
| 9. ლუის გარსია | 24.06.78 |
| 11. მაქსი როდრიგესი (არგ) | 02.01.81 |
| 15. ხურადო | 29.06.86 |
| 16. სიმაო საბროსა (პორ) | 31.10.79 |
| 17. ხოსე ანტონიო რეიესი | 01.09.83 |
| 18. მანიშე (პორ) | 11.11.77 |
| 29. მიგელ დე ლა კუევასი | 19.06.86 |
| დიეგო და სილვა | 07.10.88 |
| კლებერ სანტანა (ბრა) | 27.06.81 |

#### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| 7. დიეგო ფორლანი (ურუ) | 19.05.79 |
| 10. სერხიო აგერო (არგ) | 02.06.88 |
| 19. ბრაულიო | 18.09.85 |
| 23. მისტა | 12.11.78 |

**- ფიბამ თქვენი კლუბი ევროთასიდან მოხსნა. ამ ამბავს როგორ შეხვდით?**

- უსამართლო გადაწყვეტილება იყო. ამ თემაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**- ვლადიმერ ბოისა როდის შემოგიერთდებათ?**

- იგი ჯერ საქართველოს ნაკრებს დაეხმარება და რუსეთში მერე გამოფრინდება. ვვარაუდობთ, რომ იგი 4 სექტემბრისთვის აქ იქნება...

## ჩოგბურთი

### გადაულახავი ბარიერი

18 წლის **სოფიო შაფათავას** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) თავისუფლად შეუძლია მისთვის წარმატებულ ტურნირთა სიას მიათვალოს - სოფიომ სამი საკვალიფიკაციო წრე გაიარა და ძირითად ბადეში ადგილი მოიპოვა. თუმცა ის ამით არ დაკმაყოფილდა და პირველ წრეში ლატვიელ **ირინა კუზმინას** ორ სეტში აჯობა - 6:4, 6:3. მერვედფინალში მსოფლიოს 579-ე ჩოგანი მეორე ნომრად განთესილ რუს **ანა ლაპუშჩენკოვას** (206) შეხვდა და 5:7, 2:6 დამარცხდა. ზედიზედ მეორე ტურნირია სოფიო შაფათავა ანა ლაპუშჩენკოვასთან აგებს, თუმცა ამჯერად მან უფრო დიდი ბრძოლა გაუმართა რუს ჩოგბურთელს, ვიდრე პენზის ტურნირის პირველ წრეში. სოფიო რეიტინგში კვლავ წინ წაიწევს.

### შეწყვეტილი სერია

15-მატჩიანი წაუგებელი სერია მოულოდნელად შეწყდა - 22 წლის **ლადო ჩიხლაძემ** გერმანიაში ფიუჩერსის სერიის რიგითი ტურნირის პირველ წრეში წააგო განუთესავ ავსტრალიელ **კლინტონ ტომსონთან** (500) - 3:6, 4:6. ვალშტედტის ტურნირში (10 ათასი დოლარი) ლადო ჩიხლაძე მერვე ნომრად იყო განთესილი. შეგახსენებთ, რომ მან წინა სამი ტურნირი (ორი თბილისში და ერთი მიუნხენში) მოიგო. იმავე კორტებზე ქალთა ტურნირიც მიმდინარეობს, სადაც მოულოდნელად ასპარეზობაზე უარი თქვა **მანანა შაფაქიძემ**. არადა ის ძირითად ბადეში უნდა ყოფილიყო.

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი

25 აგვისტო
საქართველო VS ავსტრია
დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი
საქართველო VS ფინეთი
დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

GEOSPORT

სასტუმრო ვარაზი
HOTEL VARAZI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიდაობა



სერგო ნინუა (ზემოდან) პეკინის ხალიჩაზე

### ახალგაზრდათა მსოფლიო ჩემპიონატი
# ნინუას ბრინჯაოს ამარა

ორი დღეა პეკინში მიმდინარეობს ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც თავდაპირველად "ანტიკოსები" ჩაებნენ. ქართველმა ფალავნებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს - 84 კგ. წონით კატეგორიაში მოჭიდავე **სერგო ნინუამ** ევროპულ ბრინჯაოს მსოფლიოსიც მიუმატა და ინდივიდუალურად მეტად წარმატებული სეზონი გამოუვიდა. დანარჩენთა საუკეთესო შედეგი კი მხოლოდ მერვე ადგილია.

პირველ დღეს ქართველები მეტად წარუმატებლად გამოვიდნენ - არათუ მედალი, ხალიჩაზე გასული ოთხი ფალავნიდან სანუგეშო ტურნირში მხოლოდ ერთი გადაერთო, მაგრამ ისიც უსახელოდ გავარდა. ეს შედარებით წარმატებული ათლეტი ნაკრების დებიუტანტი **გიორგი გოგბერაშვილი** (50) აღმოჩნდა, რომელიც საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდა. პეკინში მან ერთადერთი შეხვედრა მოიგო - პირველ წრეში უკრაინელ **დენის ზადაჩინთან**, მეორე ბრძოლა კი მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ **ყადირ სულეიმანოვთან** წააგო. სანუგეშოში კი პირველივე შეხვედრა დათმო ყაზახ **ზანგელბი ასკენოვთან**. ნამდვილად მეტს ველოდით **რევაზ ლაშხისგან** (60), რომელსაც უკვე ეროვნული ნაკრებიც დაუჭაშნიკებია. სამწუხაროდ, მან პირველივე შეხვედრა დათმო ყაზახ **ალმატ კაბისპაიევთან**, რომელიც მერე მალევე დამარცხდა და ჩვენებური ვერც სანუგეშოში გადაერთო. საბოლოოდ ლაშხი 19-ეზე დარჩა. ასევე პირველივე შეხვედრები წააგეს **ბექა როყვამ** (74) და **გენო ხელიამ** (96).

გუშინ ჩემპიონატში **ლაშა გოგიტაძე** (55), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), სერგო ნინუა (84) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (მძიმე) ჩაებნენ. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ლაშა გოგიტაძე უზბეკ **სანჯარბეკ ჯუმარშევს** ხვდებოდა, პირველი პერიოდიც მოუგო 3:1, თუმცა შემდეგ მეორეში 0:4 დამარცხდა და გადამწყვეტშიც დათმო 1:2. ამით ქართველმა ფალავანმა ასპარეზობა დაასრულა, მის დამმარცხებელ უზბეკს კი საბოლოოდ მეხუთე ადგილი ერგო. **ანტონ მამაგეიშვილმა** ჯერ ებრაელი **ედუარდ შრაიბმანი** დაამარცხა, შემდეგ კი თურქი **ვასიფ არზიმანოვი**. ანტონი ყაზახმა **აიბეკ ენსეხანოვმა** შეაჩერა, რომელმაც პირველი პერიოდი ჩვენ თანამემამულეს 7:1 მოუგო, მეორეში კი უპირატესობა შეინარჩუნა. ყაზახი ვერცხლის მედალს დასჯერდა. მამაგეიშვილი რეპეშაჟში უკრაინელ **ვოლოდიმირ ლოჰოიდასთან** დამარცხდა და მერვე ადგილს დასჯერდა.

სერგო ნინუამ ცოტათი მაინც გამოგვიკეთა გუნება-განწყობა, მან ინდოელ **რაი კურვანტს** და ყირგიზ **კვრალ ორდობაევს** გადამწყვეტი პერიოდის საჭიროების გარეშე მოუთავა საქმე, შემდეგ კი ფინელი **ტიმო უალიოც** დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. ქართველი ფალავანი ნახევარფინალში ირანელ **ამინ ალიაკბარისთან** დამარცხდა არადა პირველი პერიოდი ძალზე იოლად, 6:3 მოუგო. ალიაკბარი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონი გახდა, ხოლო ნინუამ შეძლო ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლის მოგება, ქართველმა სერბი **დეიან ფრანიკოვიჩი** დაამარცხა. მძიმეწონოსანთა შორის, დიმიტრი ჯავახიშვილი პირველი წრისგან თავისუფალი იყო. მეორეში მან უნგრელ **იოჟეფ ნადს** აჯობა. ჯავახიშვილი მომავალ მსოფლიო ჩემპიონ რუს **სოსლან ფარნიევთან** დამარცხდა სამ პერიოდში. შემდეგ ჯავახიშვილი რეპეშაჟში ამერიკელ ფალავანთანაც დამარცხდა და საბოლოოდ მერვე ადგილს დასჯერდა.

მედალთა ჩათვლაში პირველ ადგილზე რუსები გავიდნენ, შემდეგ ირანელები და თურქები. საქართველო კი მხოლოდ მეთორმეტე იყო. დღეს და ხვალ გოგონები ჭიდაობენ, შემდეგ კი ჯერი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კრივი

### ეროვნული ნაკრები
# ცხრავე ცნობილია

ოქტომბრის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სეზონისა და მთლიანად ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლის უმთავრესი გამოცდა ელის. თენგის მესხაძის შეგირდები პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე წარდგებიან ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში და ვისაც ლიცენზია უნდა, მინიმუმ, მეოთხედფინალში უნდა გავიდეს.

ორიოდე თვის წინათ, ჩიკაგოში წამსვლელი გუნდის ჩვენეული ვერსია შემოგთავაზეთ, მაგრამ რაკილა რამდენიმე წონით კატეგორიაში მწვრთნელები დილემის წინაშე იდგნენ, საბოლოო, ზუსტი შემადგენლობის გამოცნობაზე თავს ვერ ვდებდით. გუშინ კი, ნაკრების ახალმა თავკაცმა თენგიზ მესხაძემ, ყველაფერს ნათელი მოჰფინა. მართალია, მან საბოლოო შემადგენლობის დასახელება ბოლო შეკრების შემდეგ აღგვითქვა, მაგრამ მისი ინტერვიუს შემდეგ, უკვე თამამად შეგვიძლია იმ ცხრა მოკრივის ჩამოთვლა, რომლებიც ჩიკაგოში იჩხუბებენ.

მაშ, ასე: - მსოფლიო ჩემპიონატზე წავლენ: **ზვიად ხადური** (48 კგ), **ნიკოლოზ იზორია** (54), **კობა ფხაკაძე** (57), **ვასილ ყაზიშვილი** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75), **დავით წიკლაური** (81) და **ბექა ლობჟანიძე** (+91).

ამ ცხრა მოკრივიდან, მთელი სეზონის განმავლობაში, ექვსი საგრძნობლად სჯობდა კონკურენტებს და მათი მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლაში, კარგა ხანია, ეჭვიც არ გვეპარებოდა. ნაკანმა და წიკლაურმა, საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე გადაჭრეს პრობლემა უშუალო კონკურენტებთან ორთაბრძოლაში, ლევან ღვამიჩავამ კი ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ **კონსტანტინე კუპატაძეზე** მეტად მოაწონა თავი მწვრთნელებს. თუმცა კუპატაძეს ბაქოს ტურნირი რომ არ გამოეტოვებინა, შესაძლოა, ახლა უკვე თავი ქუდში ჰქონოდა. არადა, კუპატაძე ორჯერ აპირებდა საზღვარგარეთ გადაბარგებას და ვიმედოვნებთ, ეს მარცხი საბოლოოდ არ ჩააქნევინებს ხელს...

მოკლედ, მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელი ცხრა კაცის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევს. რაიმე ცვლილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ველოდოთ, თუკი რომელიმე მოკრივე ან დაშავდება, ანდა რაიმე განსაკუთრებული პირადული პრობლემა შეექმნება...

**კობა ხატისაშვილი**

## ხელბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი
# ორი გუნდი ემატება?

სექტემბრის ბოლოს, კვლავ ახმიანდება ჩვენი ქვეყნის სახელბურთო დარბაზები და მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. როგორც ხელბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, ჩემპიონატის დაწყება 24 სექტემბერს იგეგმება და მაისში დასრულდება. მთავარი სიახლე და სიურპრიზი კი ის არის, რომ შესაძლებელია, ხუთგუნდიანი ჩემპიონატი შვიდგუნდიანად იქცეს.

- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყება 24 სექტემბერს დავგეგმეთ. ოქტომბერში კი სტარტს აიღებს ასაკობრივი პირველობები. ეროვნულ ჩემპიონატში, ამჯერად, წინა ჩემპიონატებზე გაცილებით მეტი - ექვსი ტური იქნება. აქედან, სამი წლეულს გაიმართება. რეგულარული პირველობის დასრულების შემდეგ, ფლეიოფების ჯერი დადგება. ჩემპიონატი მაისში დასრულდება.

პირველი ტური შედგება 24-28 სექტემბერს, მეორე ტური - 8-12 ოქტომბერს. ამის შემდეგ, სანაკრებო ბატალიებია - ეროვნული ნაკრები 25-27 ოქტომბერს, "ჩელენჯ ტროფის" მატჩებს ჩაატარებს თბილისში და ამის გამო, მესამე ტური ნოემბერში შედგება. ჯერჯერობით, კალენდარი არ შეგვიდგენია, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების რიცხვი გაიზარდოს.

- რომელი გუნდები დაემატებიან ჩემპიონატს?

- შარშან, ჩემპიონატი დაასრულა ხუთმა გუნდმა - სტუ-"თელავმა", "თბილისმა", "ქარიშხალამ", "იმედმა" და "მამულმა". აქედან, წლეულს, პრობლემა აქვს "ქარიშხალას", მაგრამ ვიმედოვნებთ, ეს კლუბი ჩემპიონატს შემორჩება.

რაც შეეხება სავარაუდო შენამატს, ახლახან, ქუთაისის მერიამ გვთხოვა, რომ ამ ქალაქის კლუბი დავუშვათ უმაღლეს ლიგაში. ქუთაისში, სპორტის სასახლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება და როგორც ჩანს, ხელბურთის კლუბის აღდგენა გულით უნდათ. თუმცა სანამ ნებართვას მივცემთ, ჯერ ადგილზე უნდა ჩავიდეთ და მდგომარეობა შევისწავლოთ...

ამას გარდა, გვინდა 17-წლამდელთა რეგიონალური ნაკრების ჩამოყალიბება, რომელსაც უფროსების ჩემპიონატში ვათამაშებთ. ამ ნაბიჯის გადადგმა იმიტომ გვსურს, რომ კარგი თაობა მოდის და არ გვინდა, ეს ახალგაზრდები დაიკარგონ. ნაკრებში არ იქნებიან მხოლოდ თბილისელი და ქუთაისელი ხელბურთელები, სხვა ქალაქებიდანაც კი ამოვარჩევთ ნიჭიერ ჭაბუკებს და ეროვნულ ჩემპიონატში მივცემთ დაოსტატების შანსს.

თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით, მხოლოდ მოლაპარაკებისა და განხილვის სტადიაშია. 10 სექტემბერს, მთავრდება უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება. შესაბამისად, სწორედ 10 სექტემბრის შემდეგ გვეცოდინება საბოლოოდ, თუ რამდენი გუნდი ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში.

# მემორანდუმი თურქეთთან

თურქეთის ქალაქ იზმირში ახლახან დასრულებულ ახალგაზრდა ხელბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალს ესწრებოდა ჩვენი ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **თამაზ თევზაძე**. იგი იზმირში ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატის სტატუსით იმყოფებოდა. როგორც სჩვევია, თევზაძეს საზღვარგარეთ დრო უქმად არ დაუკარგავს და მასპინძლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

თამაზ თევზაძე: - ევროპის ჩემპიონატის ფინალის დელეგატობის პარალელურად, მოლაპარაკებას ვაწარმოებდი თურქეთის ხელბურთის ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ. ჩვენი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და მემორანდუმს ხელი მოვაწერეთ. მართალია, თურქებს ჩვენზე გაცილებით მძლავრი შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ისინი დაგვეხმარებიან. დაგეგმილი გვაქვს ერთობლივი სემინარები, ამხანაგური მატჩების ჩატარება, გაცვლითი პროგრამები, ხელბურთის განვითარება რეგიონებში და ასე შემდეგ. მთლიანობაში, პროექტი დადებითად წაადგება ორივე ქვეყნის ხელბურთს.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

# აროშიძემ ვერ მოიგო

ესპანურ ბანიოლესში საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე მოთამაშე დიდოსტატმა **ლევან აროშიძემ** (2470) ვერ შეძლო შავი ფიგურებით მექსიკელი **გარსია გონსალესის** დამარცხება. 6 ტურის შემდეგ აროშიძეს 5 ქულა აქვს, როგორც ინდოელ **დიპ სანგუპტას** და ამერიკელ **რენიერ გონსალესს**. ლიდერობს ესპანელი **ხორდი ფლუვია** 5,5 ქულით. დღეს აროშიძე თეთრი ფიგურებით ინდოელ საერთაშორისო ოსტატს შეხვდება. **დავით შენგელიას** 4,5 ქულა აქვს, 4-4 ქულა აქვთ **სოფიკო გურამიშვილს**, **ანა მათნაძესა** და **სოფიო ნიკოლაძეს**, 3 - **მარიამ დანელიას**.

# ძაგნიძე აკროპოლისში პირველია



ნანა ძაგნიძე

საბერძნეთში დასრულდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი "აკროპილის 2007", სადაც დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი**, **ნიკოლოზ მანაგაძე**, **ბაჩანა მორჩიაშვილი**, **ნანა ძაგნიძე**, **სალომე მელია**, **ბესარიონ ხეცურიანი** და **ივერი ჭილლაძე** თამაშობდნენ. თამაზ გელაშვილმა 6 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ მეათე ადგილი დაიკავა. ნიკოლოზ მანაგაძეს და ნანა ძაგნიძეს 5,5-5,5 ქულა დაუგროვდათ. ქალთა შორის 5,5-5,5 ქულა ორ მოჭადრაკეს ჰქონდა ნანა ძაგნიძეს და პოლონელ **იოლანტა ზავადზკას**, უკეთესი კოეფიციენტი ქართველს აღმოაჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## მძლეოსნობა

ჩემპიონი

# კლუფტი ჰეთ-თრიკისთვის იბრძოლებს

სპორტულ სამყაროს კარს მოადგა მძლეოსნობაში მსოფლიოს XI ჩემპიონატი, რომელსაც ამჯერად იაპონიის ქალაქი ოსაკა უმასპინძლებს. ჩემპიონატში რეკორდულად ბევრი, 203 ქვეყნის სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას.

მათ შორის არიან შვედებიც, რომლებსაც მართალია, ერთ-ერთი გამორჩეული სპორტსმენი, სამხტომელი **კრისტიან ოლსონი** გამოაკლდათ, მაგრამ მაინც რამდენიმე ოქროს მოპოვების რეალურ შანსს ინარჩუნებენ.

ოქროს მოპოვების პრეტენდენტთა შორის ყველაზე გამორჩეული კი შვიდჭიდში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **კაროლინა კლუფტია**, ვისაც რეალური შანსი აქვს, ზედიზედ მესამედაც მოიპოვოს ოქროს მედალი, რაც უპრეცენდენტო შემთხვევა იქნება. 24 წლის შვედი უდავო ფავორიტი და ამავდროულად, არ სურს ლაპარაკი იმაზე, თუ რა პერსპექტივა ექნება პეკინის ოლიმპიადაზე. სხვათა შორის, უკვე ლაპარაკობენ იმაზეც, რომ შესაძლოა, ოსაკას შემდეგ კლუფტმა დაასრულოს შვიდჭიდელის კარიერა და აქცენტი სიგრძეზე ხტომაზე გადაიტანოს.

*"ამ ეტაპზე, მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე ვფიქრობ და სხვა არაფერი მაინტერესებს. რა იქნება მერე? ამაზე ოსაკას შემდეგ ვიფიქრებ"*, - როიტერთან საუბრისას განაცხადა კლუფტმა, ვინც ასევე ევროპის ორგზის ჩემპიონიცაა. შვედს ნაკლებად აღარდებს ოსაკას დახუთული ჰაერი და ამბობს, რომ წვიმიან ამინდში ტანჯვას მზეში ასპარეზობა ურჩევნია.

სხვათა შორის, ოსაკაში კლუფტს მეტოქეობას არ გაუწევს მისი ძველი კონკურენტი, ფრანგი **ეუნის ბარბერი**, ვინც წინა ორ ჩემპიონატზე (პარიზი-2003 და ჰელსინკი-2005) ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბარბერს ამ სეზონშიც ტრავმა აწუხებს, რის გამოც მუნდიალისთვის რიგიანად მომზადება ვერ შეძლო. ესეც რომ არა, შვიდჭიდში ასპარეზობის შემთხვევაში, შესაძლოა მას სიგრძეზე ხტომაში ვერ ჰქონდეს კარგი შედეგები. ბარბერს კი პარიზში მოპოვებული და ჰელსინკში დაკარგული ტიტულის დაბრუნება სურს.

კლუფტი ამბობს, რომ ბარბერთან პაექრობა ყოველთვის ძალიან საინტერესოა და ამ დროს გაცილებით უკეთეს შედეგსაც აღწევს ხოლმე, მაგრამ უმისოდაც არ დაკარგავს კონცენტრაციას და თავის საქმეს ბოლომდე მიიყვანს. *"ეუნისი დიდი ათლეტია, რომლის კონკურენტობა ყოველთვის უკეთესი შედეგისკენ მიბიძგებდა ხოლმე. მაგრამ არც მისი არყოფნა შემიშლის ხელს"*, - დასძენს კლუფტი, ვინც არ მალავს, რომ ოსაკაში პირადი რეკორდის (7 001 ქულა) გაუმჯობესებასაც ეცდება, თუმცა გამორიცხა ლეგენდარული ამერიკელის, **ჯეკი ჯოინერ-კერსის** მსოფლიო რეკორდის (7 291 ქულა) გაუმჯობესება.

*"რეკორდის გაუმჯობესებაზე მართლა არ ვფიქრობ. ეს თითქმის მიუღწეველი შედეგია. მის გაუმჯობესებაზე არც არასოდეს მიოცნებია, რადგან ვიცი, რომ ამის უნარი არ შემწევს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სულაც არ დამწყდება გული, თუ კარიერას ამ რეკორდის გაუმჯობესების გარეშე დავასრულებ. ჯეკი ჯოინერ-კერსი გრანდი იყო და მისი რეკორდიც გრანდიოზული მიღწევაა, რომელიც ალბათ, სამუდამოდ დარჩება"*, - ამბობს კლუფტი.



კაროლინა კლუფტი

■ ■ ■

ოსაკაშივე გაიმართა მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) კონგრესი, რომელმაც ხელმძღვანელთა არჩევნები ჩაატარა. კენჭისყრის შედეგად, მორიგი (რეგლამენტით ბოლო) ოთხი წლით, პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს სენეგალელი **ლამინ დაკი**. აირჩიეს ასევე მისი ოთხი ვიცე-პრეზიდენტი. ეს პოსტები გაინაწილეს წარსულში ცნობილმა მძლეოსნებმა, ბრიტანელმა **სერ სებასტიან კოემ**, ვინც ამავდროულად, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შეფიცაა, უკრაინელმა **სერგეი ბუბკამ**, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია, ამერიკელმა ადვოკატმა **რობერტ ჰერშმა** და ყატარის მძლეოსნობის ასოციაციის პრეზიდენტმა **დალან ალ-ჰამადმა**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**23 აგვისტო. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:14** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**09:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**09:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:15** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:25** ფეხბურთი. Barca TV.
**10:33** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ბოლტონი.
**12:22** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. ფინალი. როტერდამი.
**14:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:04** სპორტდოსიე.
**15:30** ფეხბურთი. Barca TV.
**15:37** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-დერბი.
**17:25** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ოტავა-ანაჰაიმი.
**19:43** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
**21:44** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:40** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:55** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ბოტაფოგო-კორინთიანსი.
**00:50** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:03** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ბოლტონი.
**02:44** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰოლანდიის ღია პირველობა. ფინალი. როტერდამი.
**04:29** სპორტდოსიე.
**04:54** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ოტავა-ანაჰაიმი.
**06:59** სპორტის ისტორია.

**EUROSPORT**

**10:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
**11:30** მულტისპორტი.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. განა-გერმანია. ს. კორეა (LIVE).
**14:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ესპანეთი-საბერძნეთი.
**14:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უნგრეთი-იტალია.
**15:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-რუსეთი.
**18:15** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ბენილუქსის ტური. I ტური.
**19:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**20:45** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი.
**21:30** ბალახის ჰოკეი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. IBO-ს ვერსია. სუპერმჩატე წონა. რ. ჰატონი (ბრიტანეთი)-ხ. კასტილიო (მექსიკა). ლას ვეგასი. აშშ.
**00:00** პროფესიული კრივი. მძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-ლ. დონალდი (აშშ). მოსკოვი. რუსეთი.
**01:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**01:15** სუმო.
**03:15** ფეხბურთი. ევრო 2008.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**11:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**11:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
**13:30** სერფინგი. საფრანგეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** სერფინგი. საფრანგეთი.
**15:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ტრინიდადი-კოლუმბია. ს. კორეა (LIVE).
**17:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**17:30** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პორტუგალია-იტალია. მარსელი. საფრანგეთი.
**18:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი.
**19:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. რუსეთი-შვეიცარია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. საფრანგეთი-პორტუგალია. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
**21:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ქალები. ფინალური ეტაპი. ჩინეთი.
**00:00** სერფინგი. საფრანგეთი.
**00:30** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**02:30** ახალი ამბები.

## ჰოკეი

### ლინდენი კარიერას აგრძელებს

"ვანკუვერ კენაქსის" ხელმძღვანელობამ ვეტერანი ფორვარდი **ტრევორ ლინდენი** კარიერის გაგრძელებაზე დაითანხმა და მასთან ხელშეკრულება გააგრძელა.

ახალი კონტრაქტის დეტალები ჯერ არ გახმაურებულა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში 37 წლის თავდამსხმელმა 80 მატჩში 25 ქულის (12 გოლი+13 პასი) დაგროვება შეძლო.

### პეკა კოლამბუსში გადავიდა

ცნობილი ფორვარდი **მაიკ პეკა** ამ დრომდე თავისუფალი აგენტი იყო, მაგრამ მან გუშინ "კოლამბუსთან" გააფორმა კონტრაქტი. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ხელშეკრულება ერთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

გასულ რეგულარულში პეკა "ტორონტოს" ღირსებას იცავდა, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო, ის მხოლოდ 35-ჯერ გავიდა ყინულზე და 15 ქულა (4 გოლი+11 პასი) მოიპოვა. სულ კი, თავის 12-წლიან კარიერაში, მაიკის ანგარიშზე 164 შაიბა და 245 შედეგიანი გადაცემა მოდის.

## კალათბურთი

### ტრაგედია NBA-ში

ტრაგედია მოხდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. "ჰიუსტონ როკეტსისა" და "მინესოტა ტიმბერვულვზის" ყოფილი მოთამაშე **ედი გრიფინი**, გასულ კვირას საკუთარი მანქანით მატარებელს შეასკდა და დაიღუპა. ექსპერტებმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეძლეს დამწვარი გვამის ამოცნობა.

17 აგვისტოს, დაახლოებით ღამის ორ საათზე, 25 წლის სპორტსმენმა მოძრაობის ამკრძალავი ბარიერი გაიარა და მანქანით ლიანდაგზე გადავიდა, სადაც დიდი სისწრაფით მატარებელი მიდიოდა. გრიფინმა გადასწრება ვერ მოასწრო და შეჯახების შემდეგ, მისი მანქანა აფეთქდა.

### გარბახოსა ნებართვას ელის

ესპანეთის ნაკრები მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ ჯერ არ იცის, ითამაშებს თუ არა ევრობასკეტზე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, **ხორხე გარბახოსა**. საქმე ისაა, რომ კალათბურთელს ჯერაც არ მიუღია "ტორონტო რეპტორზისგან" ევროპის ჩემპიონატზე თამაშის ნებართვა.

როგორც ცნობილია, გარბახოსამ გასული რეგულარულის ბოლოს ტრავმა მიიღო, მაგრამ ისე სწრაფად გამოჯანმრთელდა, რომ ესპანელმა ექიმებმა ნაკრების დამრიგებელ **პეპე ერნანდესს** ხორხეს განაცხადში შეყვანა ურჩიეს. ახლა, ყველაფერი "ტორონტოს" გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

*"სამწუხაროდ, არ ვიცი, რამდენი ხანი დასჭირდება ამ საკითხის მოგვარებას - რამდენიმე წუთი, საათი თუ დღე"*, - აცხადებს ერნანდესი.

## ველოსპორტი

### რასმუსენი ბრუნდება

წლევანდელი "ტურ დე ფრანსიდან" ლიდერის რანგში მოკვეთილი დანიელი **მიკაელ რასმუსენი** 2 სექტემბერს აპირებს ტრასაზე დაბრუნებას. ის ბელგიაში გასამართ ერთ-ერთ საერთაშორისო რბოლაში მიიღებს მონაწილეობას. ველომრბოლელები სტარტს აღმოსავლეთი ფლანდრიის ქალაქ ზავიხოვიდან აიღებენ.

## ჩოგბურთი

### ფედერერისა და შარაპოვას მილიონები

ცნობილია, რომ ამერიკის ღია პირველობას წინ უძღვის ჰარდის სერიის ტურნირები, რომელსაც US Open Series ეწოდება.

ამერიკის ჩემპიონატის ორგანიზატორები ყოველ წელიწადს აჯილდოვებენ იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც ამ სერიის ტურნირებში საუკეთესოდ წარმოაჩენენ თავს. უკვე ცნობილია, რომ წელს მამაკაცებს შორის საუკეთესო შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** გახდა, ქალებში კი რუსი **მარია შარაპოვა**. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ, ეს ჩოგბურთელები ბონუსის სახით, თითოზე დამატებით მილიონ დოლარს მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ "დიდი სლემის" რიგით მეოთხე მომავალ ორშაბათს აიღებს სტარტს.

## მძლეოსნობა

### კიდევ ერთი დანაკლისი

იაპონიის ქალაქ ოსაკაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატს კიდევ ერთი ცნობილი მძლეოსანი გამოაკლდა. ეს გახლავთ მარათონში ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, მაროკოელი **ჯავად ღარიბი**.

*"მას შემდეგ, რაც ჯავადმა ლონდონში ფეხის ტრავმა მიიღო, გადაწყვიტა არ გარისკოს და მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვოს"*, - განაცხადა სპორტსმენის აგენტმა **ერიკ ელიოტმა**.

35 წლის ღარიბმა ოქროს მედლები 2003 და 2005 წლების მსოფლიო პირველობებზე მოიპოვა.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩი | |
|---|---|
| ბოსნია (U21)-ხორვატია (U21) | 3:3 |
| ნორვეგია (U21)-დანია (U21) | 0:2 |
| **მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 17** | |
| ჰაიტი-საფრანგეთი | 1:1 |
| სირია-ესპანეთი | 0:0 |
| არგენტინა-ჰონდურასი | 1:1 |
| იაპონია-ნიგერია | 0:2 |
| **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვერდერი II-მაგდებურგი | 3:0 |
| **ნორვეგია. II დივიზიონი** | |
| მანდალი-ჰაუგესუნდი | 1:3 |

**კალათბურთი**

| შესარჩევი | |
|---|---|
| დანია-ბელგია | 61:71 |
| უკრაინა-ისრაელი | 63:68 |
| უნგრეთი-ბულგარეთი | 74:67 |
| მაკედონია-ესტონეთი | 95:50 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ჩინეთი-პოლონეთი | 66:83 |
| თურქეთი-ლატვია | 74:68 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ნიუ ჰევენი | |
|---|---|
| აკასუსო-ჰრბატი | 6:1, 7:5 |
| ვერდასკო-სპეიდი | 2:6, 6:4, 6:2 |
| ტ. იოჰანსონი-სტარაჩე | 7:6, 6:3 |
| ალმაგრო-ბენეტო | 6:7, 6:3, 6:3 |
| კარლოვიჩი-რასელი | 7:6, 6:4 |
| მატიო-ორნა | 6:3, 7:6 |
| ანდრეევი-მონტანიესი | 6:1, 6:7, 7:6 |
| მონფილსი-ვავრინკა | 6:7, 4:6 |
| ჯინეპრი-კალერი | 4:6, 6:3, 5:7 |
| **WTA. ნიუ ჰევენი** | |
| საფინა-კინგი | 6:1, 6:3 |
| ბარტოლი-რუანო პასკუალი | 6:0, 6:4 |
| სკიავონი-ლუა | 6:1, 6:4 |
| მირზა-ბონდარენკო | 3:6, 6:0, 6:3 |
| ბამერი-დანიილიდუ | 6:1, 5:7, 2:6 |
| დემენტიევა-ჰარკლროუდი | 6:1, 7:6 |
| ჰანტუხოვა-შავაი | 5:7, 3:6 |

## ჩოგბურთი

ტურნირები

**ATP**

**Pilot Pen Tennis**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 675 250 დოლარი

**I წრე**

**ჯონ ისნერი** (აშშ)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:4.

**II წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 3)-არნო კლემანი (საფ) 6:4, 6:2; *მატჩები წვიმის გამო გადაიდო.*

**WTA**

**Pilot Pen Tennis**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

**სანია მირზა (ინდ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-აი სუგიამა (იაპ) 7:6(5), 3:6, 6:4; დანარჩენი მატჩები წვიმის გამო გადაიდო.

# ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

## A ჯგუფი

### სომხეთი-პორტუგალია 1:1

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ოვსეპიანი, არზუმანიანი, ალ. ტადევოსიანი, არაქელიანი, ა. მკრტიჩიანი, პაჩაიანი, არტურ ვოსკანიანი, კარამიანი (70. მელიქიანი), მხითარიანი (59. გაზარიანი), მელქონიანი (90. რ. ხაჩატრიანი).

**პორტუგალია:** რიკარდო, მიგელი, ფერნანდო მეირა, ჟორჟე ანდრადე (76. ბრუნო ალვეში), ფერეირა, რაულ მეირელესი, ტიაგო, დეკუ, რონალდო, ელდერ პოშტიგა (61. ნუნუ გომეში), სიმაო (63. კუარეშმა).

**გოლები:** 1:0 არზუმანიანი (12), 1:1 რონალდო (37)

**მაყურებელი:** 15 500

### ფინეთი-ყაზახეთი 2:1

**ფინეთი:** იაასკელაინენი, ვალიო, ჰიიპია, ტიჰინენი, პასანენი, ჰეიკინენი, რ. ერიომენკო (46. სიოლუნდი), ტაინიო (76. რიილაჰტი), ერიომენკო-უმცროსი, კოლკა (88. ნურმელა), იოჰანსონი.

**ყაზახეთი:** ლორია, ი. აზოვსკი, კუჩმა, სმაკოვი, ფ. ირისმეტოვი, სკორიხი (69. ჩიჩულინი), ბალტიევი, ბიაკოვი, ლარინი (78. აშირბეკოვი), ჟუმასკალიევი, ოსტაპენკო (70. სუიუმაგამბეტოვი).

**გოლები:** 1:0 ერიომენკო-უმცროსი (13), 1:1 ბიაკოვი (23), 2:1 ტაინიო (61)

**მაყურებელი:** 13 000

### ბელგია-სერბეთი 3:2

**ბელგია:** სტინენი, ჰოფკენსი, კომპანი, სიმონსი, ვერმაელენი, გერაერტსი, გოორი, მუდინგაი, დეფური (86. მ. მპენზა), დემბელე (90. ლომბაერტსი), მირალა (67. ვანდენ ბორე).

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, კრსტაიჩი, რუკავინა, ვიდიჩი, იანკოვიჩი, კორომანი (56. კრასიჩი), ნ. კოვაჩევიჩი, კუჟმანოვიჩი, ლაზოვიჩი (70. სმილიანიჩი), პანტელიჩი (56. იოვანოვიჩი).

**გოლები:** 1:0 დემბელი (10), 2:0 მირალა (30), 2:1 კუჟმანოვიჩი (73), 3:1 დემბელე (88), 3:2 კუჟმანოვიჩი (90)

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-7 | 19 |
| 2. ფინეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 11-6 | 17 |
| 3. პორტუგალია | 8 | 4 | 3 | 1 | 16-6 | 15 |
| 4. სერბეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-7 | 14 |
| 5. ბელგია | 9 | 3 | 1 | 5 | 8-12 | 10 |
| 6. სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-8 | 8 |
| 7. ყაზახეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 8. აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-17 | 5 |

მომდევნო ტური. **8 სექტემბერი.** პორტუგალია-პოლონეთი, აზერბაიჯანი-სომხეთი, სერბეთი-ფინეთი

## D ჯგუფი

### სან მარინო-კვიპროსი 0:1

**სან მარინო:** სიმონჩინი, ალბანი, ჯ. ბოლინი (77. ჩიაჩი), დელა ვალე, ვალენტინი, ვანუჩი, ფ. ბოლინი (63. ანდრეინი), ბონინი, ბული, მარანი, სელვა.

**კვიპროსი:** გეორგალიდესი, ლამბრუ, პარასკევასი, ტეოდოტუ, ალონეფტისი, გარპოცისი (86. ხარალამბუსი), მარანგოსი (24. ნიკოლაუ), მიხაილი, კონსტანტინუ, ოკასი, იასუმისი (55. ხარალამპიდისი).

**გოლი:** 0:1 ოკასი (54)

**მაყურებელი:** 4 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 29-4 | 19 |
| 2. ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-4 | 14 |
| 3. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-8 | 13 |
| 4. სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 16-13 | 9 |
| 5. უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 6. კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-16 | 7 |
| 7. სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1-37 | 0 |

მომდევნო ტური. **8 სექტემბერი.** სან მარინო-ჩეხეთი, უელსი-გერმანია, სლოვაკეთი-ირლანდია.

## E ჯგუფი

### ესტონეთი-ანდორა 2:1

**ესტონეთი:** პოომი, იააგერი, სტეპანოვი, პიიროია, კრუგლოვი, რეიმი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერი, ზელინსკი, ვოსკობოინიკოვი (46. კინკი)

**ანდორა:** კოლდო, ჩემა გარსია, სონეხე, ტონი ლიმა, ილდეფონს ლიმა, ესკურა, აიალა (90. ხენის გარსია), პუიოლი (80. ხული სანჩესი), სივერა (53. ტოსკანო ბელტრანი), ვიეირა, სილვა.

**გოლები:** 1:0 პიიროია (34), 1:1 სილვა (87), 2:1 ზელინსკი (90+2)

**გაძევება:** კლავანი (45+2. ესტონეთი), ზელინსკი (90+2. ესტონეთი)

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 7 | 5 | 2 | 0 | 16-4 | 17 |
| 2. ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 3. რუსეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11-1 | 15 |
| 4. ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-2 | 14 |
| 5. მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 6-7 | 7 |
| 6. ესტონეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 2-15 | 3 |
| 7. ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2-30 | 0 |

მომდევნო ტური. **8 სექტემბერი.** ინგლისი-ისრაელი, რუსეთი-მაკედონია, ხორვატია-ესტონეთი.

## F ჯგუფი

### ჩრ. ირლანდია-ლიხტენშტაინი 3:1

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, ბერდი, კრეიგანი, დაფი, მაკარტნი, ბრანტი (62. ელიოტი), კლინგენი, დევისი, გილესპი (85. ჯონსი), ჰილი, ლაფერტი (75. ფინი).

**ლიხტენშტაინი:** იელე, დ'ელია, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა (38. ოერი), ტელსერი, ბიდერმანი, ბუხელი (62. ბიდერმანი), ფრიკი, პოლვერინო, ფრიკი, რორერი (74. ბეკი).

**გოლები:** 1:0 ჰილი (5), 2:0 ჰილი (35), 3:0 ლაფერტი (56), 3:1 ფრიკი (89)

**მაყურებელი:** 34 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-4 | 18 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-8 | 16 |
| 3. ესპანეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13-6 | 15 |
| 4. დანია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-5 | 10 |
| 5. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-15 | 4 |
| 6. ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-21 | 4 |
| 7. ლატვია | 6 | 1 | 0 | 5 | 4-7 | 3 |

მომდევნო ტური. **8 სექტემბერი.** შვედეთი-დანია, ლატვია-ჩრ.ირლანდია, ისლანდია-ესპანეთი.

## ამხანაგური მატჩები

### რუსეთი-პოლონეთი 2:2

**რუსეთი:** გაბულოვი (46. შუნინი), ვ. ბერეზუცკი (46. ზირიანოვი), საენკო, არშავინი, ბილიალეტდინოვი, ჟირკოვი (46. ანიუკოვი/86. ვორობიოვი), პავლიუჩენკო (46. პოგრებნიაკი), სემშოვი, კოლოდინი, სიჩოვი, ა. ბერეზუცკი (59. ტორბინსკი).

**პოლონეთი:** ბორუცი (46. კუშჩაკი), დუდკა, ბრონოვიცკი, გოლანსკი (46. ვასილევსკი), ბაკი (46. ჟევლაკოვი), კრჟინოვეკი, ივანსკი (66. ლობოძინსკი), მატუსიაკი, ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი, სობოლევსკი (66. იოპი).

**გოლები:** 1:0 სიჩოვი (22), 2:0 პავლიუჩენკო (35), 2:1 კრჟინოვეკი (73), 2:2 ბლაშჩიკოვსკი (77)

**მაყურებელი:** 40 000

### უკრაინა-უზბეკეთი 2:1

**უკრაინა:** პიატოვი, ნესმაჩნი, კუჩერი, იეზერსკი, რუსოლი (46. გრიცაი), შევჩენკო (55. ვორობეი), დანილოვსკი (46. შელაევი), მიხალიკი (46. გუსევი), ნაზარენკო, კალინიჩენკო (62. როტანი), გლადკი (46. ვორონინი).

**გოლები:** 1:0 გლადკი (30), 2:0 როტანი (65), 2:1 ჰეინრიხი (90)

**მაყურებელი:** 23 000

### ბრაზილია-ალჟირი 2:0

**ბრაზილია:** დონი (46. ჟულიო სეზარი), მაიკონი (69. დანიელ ალვეში), ალექსი, ნალდო, კლებერი, მინეირო (63. ლუკაში), ჟოსუე (46. ფერნანდო), ელანო (46. კაკა), ჟულიო ბაპტიშტა (46. რონალიდინიო), რობინიო (68. დიეგო), ვაგნერ ლავი.

**გოლები:** 1:0 მაიკონი (62), 2:0 რონალიდინიო (79)

**მაყურებელი:** 10 000

### ბულგარეთი-უელსი 0:1

**ბულგარეთი:** ივანკოვი, ანგელოვი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, ლუსიო ვაგნერი (54. ჟენევი), კიშიშევი (52. იანკოვი), ს. პეტროვი, ტელკიისკი (46. პოპოვი), იოვოვი (61. გენკოვი), ჩილიკოვი (46. დიმიტროვი), მ. პეტროვი.

**უელსი:** ჰენესი, ბეილი (46. ირდლი), გაბიდონი, მორგანი (46. ევანსი), ნიატანგა, რიკეტსი (46. კოლინზი), კროფტი, დევისი (66. ნარდიელო), ლედლი (61. ჯონსი), ვონი, ისტვუდი (46. ირნშოუ).

**გოლი:** 0:1 ისტვუდი (45)

**მაყურებელი:** 15 000

### ნორვეგია-არგენტინა 2:1

**ნორვეგია:** ოპდალი (46. იარსტეინი), ჰანგელანდი, რ. იონსენი, ი-ო. რიისე, სტორბეკი, ანდერსენი, ბრაატენი (90. ბიორკოი), ჰესტადი, პედერსენი (74. სტრანდი), ბ-ჰ. რიისე (74. ტეტეი), კარუ (85. სოლი).

**არგენტინა:** უსტარი, ბურდისო, გარაი, გ. მილიტო, ძანეტი, ლუის გონსალესი (46. ინსუა), მასკერანო, დ. მილიტო (80. გაგო), მაქსი როდრიგესი, ლავეცი (46. სავიოლა), მესი.

**გოლები:** 1:0 კარუ (12-პენ), 2:0 კარუ (59), 2:1 მაქსი როდრიგესი (85)

**მაყურებელი:** 24 000

### დანია-ირლანდია 0:4

**დანია:** კრისტიანსენი, აგერი, ბოგელუნდი (46. კალენბერგი), გრავგაარდი (46. კრისტიანსენი), ნ. იენსენი (46. კვისტი), გრონკიაერი, დ. იენსენი (46. ლაურსენი), რომედალი, ვურტცი (68. ლოვენკრანდსი), ბენდტნერი, ტომასონი (59. ნორდსტრანდი).

**ირლანდია:** ჰენდერსონი, კარი, დანი, ფინენი (62. კილბეინი), ო'ში, ჰანტი (46. კიოგი), მაკგრეიდი, პოტერი (67. კელი), რიდი (46. გიბსონი), დოილი (46. ლონგი), კინი (56. მერფი).

**გოლები:** 0:1 კინი (29), 0:2 კინი (40), 0:3 ლონგი (54), 0:4 ლონგი (66)

**მაყურებელი:** 30 000

### რუმინეთი-თურქეთი 2:0

**რუმინეთი:** ლობონტი, მარინი, გოიანი, კივუ (65. რადუ), რატი, რადოი (46. მუნტეანუ), კოდრეა (66. ლაზარი), პეტრე (46. ნიკოლიტა), დიკა (79. კრისტეა), მუტუ, მარიკა (82. ნიკულესკუ).

**თურქეთი:** ჰაქანი, ჰამით ალთინთოფი, ი. თორომანი, გიოქჰან ზანი, ი. უზულმეზი (68. ვოლქანი), საბრი (82. გიოქდენიზი), თუნჯაი, მეჰმეთი (73. ჩიშმირი), არდა (46. თუმერი), ემრე (42. ნიჰათი), გიოქჰან უნალი.

**გოლები:** 1:0 დიკა (62), 2:0 მუტუ (70)

### შვეიცარია-ჰოლანდია 2:1

**შვეიცარია:** კოლტორი, მანინი, სენდეროსი (87. კაბანიასი), მარგაირასი (80. ჰ. იაკინი), ბარნეტა (73. შპიხერი), ფ. დეგენი (69. ლიხშტაინერი), ფონ ბერგენი, ინლერი, ფონლანდენი, ნ'კუფო (56. შტრელერი), ფერნანდესი (66. ჰუგელი).

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, იალიენსი (46. ბულარუზი), ჰეიტინგა, ბუმა, ემანუელსონი, დე ზეუვი, ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი (46. ზეედორფი), ვან დერ ვაარტი (46. ბაბელი), ვან ნისტელროი (46. კუიტი), ვან პერსი.

**გოლები:** 1:0 ბარნეტა (8), 2:0 ბარნეტა (51), 2:1 კუიტი (52)

**მაყურებელი:** 38 000

### ავსტრია-ჩეხეთი 1:1

**ავსტრია:** მანინგერი, იბერტსბერგერი (48. ლინცი), პრიოდლი, შტრანცლი, კატცერი, შტანდფესტი, აუფჰაუზერი, პრაგერი (46. შნუმელი), ლაიტგები (74. ჰარნიკი), მიორცი (82. ზალმუტერი), კულიჩი.

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა (41. ზაპოტოჩნი), როზენალი, კოვაჩი, უიფალუში, პიტაკი, იაროლიმი, ბაროში, გალაშეკი, კოლერი (46. ფენინი), პლასილი.

**გოლები:** 0:1 კოლერი (33), 1:1 ჰარნიკი (78)

### ბოსნია-ხორვატია 3:5

**ბოსნია:** გუშო (46. ალაიმი), ჰრგოვიჩი (83. ბარტოლოვიჩი), ბაიჩი, რადელიჩი (46. დუეკო), ბერბეროვიჩი, რაჰიმიჩი, დამიანოვიჩი (46. იბრიჩიჩი), ჩუშტოვიჩი, მუსლიმოვიჩი, მიშიმოვიჩი, ზება (85. იბიშევიჩი).

**ხორვატია:** რუნიე, ჩორლუკა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, ვრანიესი, სრნა (83. პრანიჩი), პეტრიჩი (72. ოლიჩი), ედუარდო და სილვა (63. ბაბიჩი), ბუდანი (84. ბალაბანი).

**გოლები:** 0:1 ედაუარდო და სილვა (18), 0:2 სრნა (35), 1:2 მუსლიმოვიჩი (37), 2:2 მუსლიმოვიჩი (70), 2:3 რ. კოვაჩი (73), 2:4 სრნა (74), 3:4 მუსლიმოვიჩი (77), 3:5 რ. კოვაჩი (81)

### შვედეთი-აშშ 1:0

**შვედეთი:** შააბანი, მ. ნილსონი (46. კონჩა), მელბერგი, ჰანსონი (46. მაისტოროვიჩი), ედმანი, ვილჰელმსონი (46. ალექსანდერსონი), დ. ანდერსონი, ბაკირჩიოგლუ, კალსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი (66. როზენბერგი), ელმანდერი (76. დიურიჩი).

**აშშ:** ჰოვარდი, ჩერუნდოლო, ონიევუ, ბოკანეგრა (76. დემერიტი), ბორნშტეინი (64. სპექტორი), ფილჰაბერი, ბრედლი, მასტროენი (46. კონვეი), ბისლი (76. ზიკო), დემპსი (85. დევისი), დონოვანი (64. ჰილი).

**გოლი:** 1:0 კალსტრიომი (56)

**მაყურებელი:** 20 468



რონალდინიო გოლით დაბრუნდა

### უნგრეთი-იტალია 3:1

**უნგრეთი:** ფულოპი, შელესი, ვაშკო, იუჰაში, ვანჩაკი (73. ციუმადია), ვასი, ჰაინალი (59. ფილკორი), ტოცერი (59. ლეანდრო), გერა, პრისკინი (73. ფეჟეშინი), დჟუდჩაკი (82. ჰალმოში).

**იტალია:** ბუფონი, ოდო (46. გროსო), კანავარო, მატერაცი (46. ბარძალი), ძამბროტა, ამბროზინი, პირლო, კვალიარელა, აკვილანი (67. პალომბო), დელ პიერო (46. დი ნატალე), ტონი (46. ინძაგი).

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (49), 1:1 იუჰაში (61), 2:1 გერა (66-პენ), 3:1 ფეჟეშინი (76)

**მაყურებელი:** 40 000

### ინგლისი-გერმანია 1:2

**ინგლისი:** რობინსონი (46. ჯეიმსი), რიჩარდსი, ფერდინანდი (46. ბრაუნი), ტერი, შორი, ბექჰემი, ლემპარდი, ქერიქი (55. ბერი), ჯ. კოული (70. რაიტ-ფილიპსი), სმიტი (57. კრაუჩი), ოუენი (57. დაიერი).

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეცელდერი, პანდერი, ლამი, ოდონკორი (54. ჰილბერტი), შნაიდერი (90. კასტრო), ტროხოვსკი (72. როლფსი), ჰიტცლშპერგერი, კურანი.

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (9), 1:1 კურანი (26), 1:2 პანდერი (40)

**მაყურებელი:** 90 000

### შოტლანდია-ს. აფრიკა 1:0

**შოტლანდია:** გორდონი, ანდერსონი, კოლდუელი (56. რობსონი), ჰატონი, მაკიველი, მაკმანუსი, ბრაუნი (72. ტილი), ფლეტჩერი, მაკფადენი (46. პირსონი), მილერი (68. ბოიდი), ო'კონორი (68. ბიტი).

**ს. აფრიკა:** ფერნანდესი, ნზამა (83. მერე), ზოტვანე, ბაკლი (76. შეპარდი), კარნელი, მჰლონგო, მოკოენა, ნკოსი (75. ფანტენი), პიენაარი (76. მოდისე), სიბაია, ზუმა (14. ნომვეტე).

**გოლი:** 1:0 ბოიდი (71)

**მაყურებელი:** 13 723

### სლოვაკეთი-საფრანგეთი 0:1

**სლოვაკეთი:** შენეცკი, დურიცა, ჰადი, კლიმპლი, კრაიჩეკი (87. ბრჟენისკი), საპარა (73. კოზაკი), ჰამსიკი (87. შტრბა), ჰოდური (67. ჟოფჩაკი), მინტალი (46. ჰოლოშკო), შეშტაკი (46. სლოვაკი), ვიტეკი.

**საფრანგეთი:** ლანდრო, აბიდალი, კლერკი (63. სანია), ევრა, მექსე (88. ბუმსონგი), მაკელელე, რიბერი (72. ნასრი), ვიეირა (59. ტულალანი), ანელკა, ანრი (84. ბენზემა), მალუდა.

**გოლი:** 0:1 ანრი (40)

**მაყურებელი:** 18 000

### საბერძნეთი-ესპანეთი 2:3

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი (50. კონსტანტინოსი), სეიტარიდისი (54. პაცაცოგლუ), ტოროსიდისი (46. ანცასი), დელასი (46. ვინტრა), კაპსისი, კაცურანისი (63. პაპადოპულოსი), ბასინასი (78. ციოლისი), კარაგუნისი, ზაგორაკისი (18. გუმასი), გეკასი, სალპიგიდისი.

**ესპანეთი:** რეინა, მარჩენა, ხუანიტო, პერნია, ანხელი, ალბელდა (65. ჩაბი ალონსო), ხოაკინი (81. ფაბრეგასი), ჩავი (70. ლუის გარსია), სილვა, ვილია (76. ანგულო), ფერნანდო ტორესი (46. ინიესტა).

**გოლები:** 1:0 გეკასი (18), 1:1 მარჩენა (37), 2:1 კაცურანისი (42), 2:2 სილვა (66), 2:3 სილვა (90+2)

**მაყურებელი:** 54 000

### იაპონია-კამერუნი 2:0

**გოლები:** 1:0 ტანაკა (25), 2:0 იამასე (90)

### ლატვია-მოლდოვა 1:2

**გოლები:** 0:1 ფრუნზა (23), 1:1 ასტაფიევსი (31), 1:2 ბორდიანი (53)

### ლიტვა-თურქმენეთი 2:1

**გოლები:** 1:0 დანილევიჩუსი (42), 2:0 დანილევიჩუსი (47), 2:1 ნიკიტენკო (90)

### ჩერნოგორია-სლოვენია 1:1

**გოლები:** 1:0 ვუჩინიჩი (28-პენ), 1:1 ვრშიჩი (42)

### ბელარუსი-ისრაელი 2:1

**გოლები:** 1:0 ვასილიუკი (2), 1:1 გერშონი (29), 2:1 ბლიზნიუკი (90)

### ისლანდია-კანადა 1:1

**გოლები:** 1:0 ჰალფრედსონი (64), 1:1 ოსეანი (74)

### ალბანეთი-მალტა 3:0

### ტუნისი-გვინეა 1:1

### კოტ დ'ივუარი-ეგვიპტე 0:0

### მაკედონია-ნიგერია 0:0



გერმანიამ პანდერის გოლით მოიგო


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა